საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიჭებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 4 ივნისი. 2016 წ. №102 (7994), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

„მოძველბიჭო“ პრეზიდენტისა გამო...

დღეს ჩვენი საზოგადოებისთვის მთლად ცხადი არ არის, თუ მთელი პრინციპულობით ვის მხარეს დგას ლიბერალის ნიღაბმორგებული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი – უკვე მესამე წელიწადია, ვერა და ვერ გამოიკვეთა – იგი ნამდვილად იმ სახელმწიფოს პრეზიდენტია, რომლის პირველ პირად ბიძინა ივანიშვილმა ლამის მუდარით ხალხს აარჩევინა, თუ ამ სახელმწიფოსა და ხელისუფლების წინააღმდეგ რევანშისტულად ამხედრებული მოძველბიჭო, ნეოფაშისტური ძალების აშკარა წამქეზებელი?!.

ჩვენი ქვეყნის ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქის მართლაც საჭირბოროტო საკითხავი სწორედ ეს არის!

გერმანელებისთვის „ყველაზე ალმაშფოთებელი“ ქართველები ყოფილან!

4

შავი ხვრელი კეზერა-შვილისთვის...

10

თამაზ ჭილაძის სიტყვა ზუგდიდელთა წინაშე

7

ალექსანდრე ანაპილოგოვი:

ყველგან და ყოველთვის საქართველოს „მარკას“ ვიცავდი

11

„ცრუსთავი-2“-ის პროცესი 7 ივნისს განახლდება

სააპელაციო სასამართლოში „ცრუსთავი-2“-ის საქმეზე გუშინდელი პროცესი, როგორც მოსალოდნელი იყო, გადაიდო.

როგორც ცნობილია, ტელეკომპანია „ცრუსთავი-2“-ის ადვოკატებს სასამართლო დარბაზი დაატოვებინეს, ტელეარხის მფლობელების გია და ლევან ყარამანიშვილების ადვოკატმა ზაზა ბიბილაშვილმა პროცესის გადადება მოითხოვა. მოსამართლეთა კოლეგიამ კი ამაზე უარი თქვა იმ მოტივით, რომ „ცრუსთავი-2“-ის მხარეს უკვე მოუსმინა.

შემდეგ უკვე სიტყვით გამოვიდა ქიბარ ხალვაშის ადვოკატი პაატა სალია.

სააპელაციო სასამართლო საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას იხილავს, რომლის თანახმადაც ტელეკომპანია „ცრუსთავი-2“ ქიბარ ხალვაშსა და მის კომპანია „პანორამას“ მიეკუთვნა. „ცრუსთავი-2“-ის პროცესი 7 ივნისს 10:00 საათზე განახლდება.

თურქეთი უკმაყოფილოა...

გერმანიაში თურქული დიასპორის გენერალური მდივნის ოია ფოირაზის განცხადებით, გერმანიას არ აქვს უფლება ვინმე გენოციდში დაადანაშაულოს.

ამის შესახებ ფოირაზმა აზერბაიჯანული სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„შეუძლებელია, ბუნდესტაგის დეპუტატების ლოგიკის გაგება. ეს ის ქვეყანაა, რომელიც ადამიანებს ცოცხლად წვავდა და საკონცენტრაციო ბანაკში გაზით გუდავდა, ამიტომ, მას არ შეუძლია ვინმე გენოციდში დაადანაშაულოს. გერმანიის თურქული დიასპორა ამგვარ ქმედებას მკვეთრად გმობს“, – განაცხადა ფოირაზმა.

რაც შეეხება ბუნდესტაგის 8 თურქ დეპუტატს, რომლებმაც ხმა გენოციდის აღიარებას მისცეს, ფოირაზმა აღნიშნა, რომ ისინი დიდი ხანია, თურქები აღარ არიან.

„თურქებისგან მათ მხოლოდ სახელები დარჩათ. მათ გერმანელი მეუღლეები ჰყავთ, მათ შვილებს თავი გერმანელებად მოაქვთ. როგორი თურქები არიან ისინი?!“, – აღნიშნა გერმანიაში თურქეთის დიასპორის გენერალურმა მდივანმა.

დღის ამოჯაჯურიდან

რასაც დღეს ხშირად გაიგონებთ...

– პირდაპირ საკვირველია და აშკარად მიკერძოებული მიდგომაა, რომ ნაციონალების სიცრუის ბუკისა და ნაღარის – „ცრუსთავი-2“-ის ყოველგვარ ზღვარს გადასულ, ხელისუფლების სახელგამტეხ და შეურაცხმყოფელ გადაცემებს მართალ სიტყვად და წინასაარჩევნოდ სწორ, აუცილებელ კრიტიკად ასაღებენ (ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ, რომ გაასაღონ) ხელისუფლებიდან „ოცნების“ ჩამოშორებისთვის თავგადაკლული ნაციონალები, რომელთა სამარცხვინო „ტაქტიკას“ ყველას გასაკვირად, თვით ქვეყნის პრეზიდენტიც კი დაუფარავად იზიარებს.

ნუთუ მართლა ასე ძნელია ნამდვილი მოქალაქეობრივი, კონსტრუქციული კრიტიკისა და პირმოხეული დესტრუქციული ლანძღვა-გინების გარჩევა?!

გიხაროდენ!

პარლამენტმა შენიშვნები გაიზიარა

საქართველოს პარლამენტმა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონთან დაკავშირებით პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები გაიზიარა. პარლამენტმა 84 ხმით დაუჭირა მხარი ამ შენიშვნებს, წინააღმდეგი არავინ ყოფილა. შესაბამისად, პარლამენტს არ დასჭირდა ვეტოს დაძლევის პროცედურა.

პრეზიდენტს კანონპროექტი ხელმოსაწერად ხუთი დღის ვადაში გადაეგზავნება. პრეზიდენტს შვიდდღიანი ვადა აქვს ცვლილებებზე ხელმოსაწერად.

ნავსი გატყდა, მოძველბიჭო პრეზიდენტი და საკანონმდებლო ხელისუფლება მნიშვნელოვან საკითხზე შეთანხმდნენ.

საქართველოსა და ჩინეთის შორის მემორანდუმს მოეწერა ხელი

საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები მზად არიან, დროულად მოხდეს ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომერციის სამინისტროს შორის საქართველო-ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დაჩქარების შესახებ“.

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ვიცე-პრემიერს ჭანგ გაოლის, რომელიც ამავდროულად ჩინეთის მიერ ინიცირებული აბრეშუმის გზის აღორძინების პროექტის –„ერთი სარტყელი, ერთი გზის“ კომიტეტის ხელმძღვანელია, მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოსა და ჩინეთის მთავრობებს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასა და ურთიერგაგების მეორანდუმებს.

შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოსთვის უსასყიდლო დახმარებას 60 მილიონი იუანის (დაახლოებით 9.1 მილიონი აშშ დოლარი) ოდენობით. აღნიშნული თანხა მიმართული იქნება საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს ორ რეგიონში სამედიცინო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სადაც თავმოყრილი იქნება ამბულატორიული და სტაციონარული სერვისები, კრიზისული ინტერვენციის ცენტრი და ფსიქორეაბილიტაციის განყოფილება როგორც ბავშვებისთვის, ასევე – მოზრდილებისთვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობა არ დაიბლოკება

პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ლევან ბოძაშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლოს კანონდებლობაში იარსებებს ის ნორმები, რომლებიც შესაბამისობაშია მოსაყვანი ევროპულ პრინციპებთან.

ამის შესახებ ბოძაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმასთან დაკავშირებით „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ ორგანიზებული დისკუსიის ფარგლებში განაცხადა.

შეხვედრას ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორის და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობა არ დაიბლოკება. პრობლემა არ შეექმნება მისი პლენუმის მუშაობას. მოსამართლეთა ვადის შეზღუდვა მათი კონსტიტუციური ვადის ამოწურვამდე არ მოხდება. არც ერთ უფლებამოსილებებთან მიმართებაში, როგორც ეს იყო კანონ-პროექტით გათვალისწინებული. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს კანონდებლობაში მანამდეც არსებობდა და ამის შემდეგაც იარსებებს ის ნორმები, რომლებიც შესაბამისობაშია მოსაყვანი, ზოგადად, კონსტიტუციური მართლმსაჯულების ევროპულ პრინციპებთან და ამის თაობაზე ვენეციის კომისიის დასკვნაც საუბრობს“, – განაცხადა ბოძაშვილმა.

თამარ სანიკიძე ალექსანდრე ჯეჯელავამ შეცვალა

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე თანამდებობიდან გათავისუფლდა.

პრემიერის გადაწყვეტილებით, თამარ სანიკიძეს ალექსანდრე ჯეჯელავა შეცვლის.

ალექსანდრე ჯეჯელავა ხელმძღვანელობდა საბანკო, საჯარო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციის პროექტებს. აქვს ექვსწლიანი გამოცდილება აკადემიურ სწავლებასა და პროფესიულ ტრენინგებში. ამჟამად ალექსანდრე ჯეჯელავა არის თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე საინფორმაციო ტექნოლოგიების და ადამიანურის რესურსების დარგში და ასევე ბანკის გამგეობის წევრი. მანამდე ის იყო „გაერთიანებული გლობალური ტექნოლოგიების“ (UGT) გენერალური დირექტორის მოადგილე, ბიზნესის განვითარების დირექტორი ინტელექტბანკში; საქართველოს ეროვნული ბანკის აიტი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი; საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის, სომხეთის სახელმწიფო რეესტრის, ყირგიზეთის ნაციონალური ბანკის და სხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების კონსულტანტად.

კოლეგიამ სასამართლო დარბაზიდან „რუსთავი-2“-ის ადვოკატები გააძევა

„რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას სხდომაზე არდაშვებისა და ნათია გუჯაბიძის მიერ აცილებაზე უარის თქმის შემდეგ მოსამართლეებსა და დამსწრე საზოგადოებას შორის კამათი დაიწყო. კოლეგიამ სასამართლოს დარბაზიდან „რუსთავი-2“-ის ადვოკატები თამთა მურადაშვილი და დიმიტრი საძაგლიშვილი გააძევა. კოლეგიამ ადვოკატი დიმიტრი ძაგნიძე – 100 ლარით, თამთა მურადაშვილი – 300 ლარით, დიმიტრი საძაგლიშვილი კი 500 ლარით დააჯარიმა.

მოსამართლე ნათია გუჯაბიძემ არაკაც გვარამიას ბრალდებები უარყო!

გუჯაბიძის განცხადებით, მასზე გავრცელებული ინფორმაციები მის გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ იქონიებს.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საქმის მოსამართლეთა კოლეგიის წევრი ნათია გუჯაბიძე მის მიმართ გავრცელებულ ბრალდებებს ეხმაურება. გუჯაბიძემ განცხადება „რუსთავი-2“-ის პროცესის დაწყებისას გააკეთა:

„მსურს, გამოვეხმაურო საზოგადოდ გავრცელებულ ბრალდებებს, იმისთვის, რომ ნათია გუჯაბიძე დაკვალიფიცირდეს თაღლითად, ამაზე უნდა არსებობდეს სისხლის სამართლებრივი დევნა, რაც ბუნებაში არ არსებობს. ჩემი მოღვაწეობის განმავლობაში მსგავს ფაქტს არასდროს ჰქონია ადგილი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მსგავსი ფაქტი არ ყოფილა არც იუსტიციის საბჭოში და ეს არის ცრუ ბრალდება. მიუხედავად ამ ცრუ ბრალდებისა, ეს ჩემს განსჯაზე ზეგავლენას არ იქონიებს.

რაც შეეხება ამ განცხადებებს, ყველა ეს ბრალდება მიმართულია როგორც ჩემი, ასევე სასამართლოს წინააღმდეგ. მე ვარ საკმაოდ გამოცდილი ყველა სფეროში და გადაწყვეტილების მიღების მომენტში გავლენას ვერაფერი ვერ იქონიებს. დავრჩები მიუკერძოებლად და მივიღებ იმ გადაწყვეტილებას, რასაც სამართალი და კანონი მიკარნახებს“, – განაცხადა ნათია გუჯაბიძემ.

,,ზოგადად დისციპლინური სამართალწარმოება არის კონფიდენციალური. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გასცა პასუხი და აღნიშნა, რომ გუჯაბიძის მიმართ ზოგადად არასოდეს ყოფილა რაიმე სახდელი დაკისრებული. რაც შეეხება იმას, თუ რატომ შეუწყდა ქირა, ამაზე არ არის ინფორმაცია კონფიდენციალური და პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ მან თავად განცხადებით მიმართა საბჭოს და განაცხადა უარი ქირაზე.

მარტო გუჯაბიძეზე კი არა, ჩვენ ბევრ მოსამართლეზე ვიხილავთ საქმეს. როდესაც არსებობს საჩივარი და როდესაც არის ზოგადად მოთხოვნა, რომ მოსამართლეს აქვს რაღაც გადაცდომა, საბჭო ყველაფერს იხილავს და ღებულობს გადაწყვეტილებას. საჩივარი არის ყველა მოსამართლეზე, ჩემზეც არის შემოსული ხოლმე და იხილავს საბჭო და იღებს გადაწყვეტილებას“, – განაცხადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ.

რაც შეეხება კითხვას, თუ ვისგან შევიდა საჩივარი ნათია გუჯაბიძეზე, მურუსიძე განმარტავს, რომ ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა.

შეგახსენებთ, რომ რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებით, მოსამართლე ნათია გუჯაბიძე თაღლითობაშია შემჩნეული. კერძოდ, მისი ინფორმაციით, ნათია გუჯაბიძე თბილისში სამოსამართლეო უფლებამოსილების განსახორციელებელად ბინას ქირაობდა, რომლის საფასურსაც იუსტიციის საბჭო იხდიდა. ნიკა გვარამიას თქმით, სახელმწიფოსგან გამოყოფილ ბინის ქირას მოსამართლე გუჯაბიძე საკუთარ დედას უხდიდა, რომლის ბინაშიც ცხოვრობდა.

კორსტელის ინციდენტში ბრალდებულებს გირაო შეეფარდათ

ხუთ პირს – ნოშრევან წურწუმიას, გიორგი გიგაურს, გიორგი გოგიძეს, კობა ტყეშელაშვილსა და გრიგოლ ტყემალაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით 7-ათასლარიანი გირაო, ერთს კი – ვლადიმერ გეგეშიძეს 10-ათასლარიანი გირაო შეეფარდა. შესაბამისი გადაწყვეტილება ზუგდიდის სასამართლომ გუშინ მიიღო.

არც პროვოკატორ გიგა ბოკერიასა და ნიკა მელიას აწყენდათ 10-ათასლარიანი გირაო... ეს დღეც მალე დადგება!

საკონსტიტუციო სასამართლოში „კაბელების საქმეზე“ სარჩელი შევიდა

„კაბელების საქმის“ ადვოკატებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს. ისინი სადაოს ხდიან სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის ნორმატიულ შინაარსს, რომელიც გაფლანგვას გულისხმობს. ადვოკატი ლევან სამუშია აცხადებს,რომ სარჩელის წარდგენა გამოიწვია „კაბელების საქმეზე“ დამდგარი განაჩენისა და მოსამართლის დასაბუთების გაცნობამ, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ჩადენისთვის თურმე საჭირო არ არის მოტივი. მისივე შეფასებით, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ეს იქნება პრევენცია სხვა მოქალაქეებისთვის, სამართლებრივი დევნის თავიდან ასაცილებლად.

ლევან მურუსიძე: სასამართლო ასეთი დამოუკიდებელი არასდროს ყოფილა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას იხსენებს და აცხადებს, რომ მასთან ხელფასების თემაზე ჰქონდა საუბარი.

როგორც მურუსიძემ ჟურნალისტებს მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფის პირველი შეხვედრის დაწყებამდე განუცხადა, სასამართლო ასეთი დამოუკიდებელი არასდროს ყოფილა.

,,ივანიშვილთან მე ვისაუბრე, რომ სასამართლოზე იყო პრობლემები. ხელფასის მომატების თემა იყო ასევე სასამართლოს დამოუკიდებლობის თემა და ამ თემასთან დაკავშირებით გავუცვალე ჩემი ხედვა და მოსაზრებები. საბოლოო ჯამში, ჩემი პოზიცია არის ის, რომ სასამართლო ასეთი დამოუკიდებელი არასდროს ყოფილა. მოსამართლეები ღებულობენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს. მოვუწოდებ ყველას, რომ უპასუხისმგებლო განცხადებებს დაანებონ თავი. არ არის სასამართლო დღეს არც ხელისუფლების, არც ოპოზიციის და არც მურუსიძის. ხომ ყველა თანხმდება, რომ ადრე ხელისუფლების მხრიდან იყო გავლენები, ამაზე ხომ ვთანხმდებით? იმაზეც, ხომ ვთანხმდებით, რომ გაცილებით უკეთესია, ვიდრე იყო ადრე. მე იმედი მაქვს, რომ მომავალში კიდევ უფრო უკეთესი გახდება“, – განაცხადა ლევან მურუსიძემ.

◎ ᲠᲔᲞᲚᲘᲙᲐ

ᲡᲐᲓᲦᲐᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲗᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐ!

2 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ, ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡᲐ“ ᲓᲐ �რᲐᲓᲘᲝ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲗ ᲒᲐᲓᲛᲝᲘᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲔᲚ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲥᲡ-ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ.

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲔᲚᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ. ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲫᲐᲤᲠᲔᲑᲓᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ. ᲢᲔᲚᲔᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ, ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲣᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲨᲚᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲮᲐᲖᲡ ᲒᲐᲕᲣᲡᲕᲐᲛ: ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲛ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲨᲝᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ.

ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ: ᲙᲝᲚᲔ�გᲐ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲮᲝᲚᲝ �თᲣ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲕᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲡᲐᲐᲤᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲓᲐ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲕᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲗᲥᲕᲐ ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲘᲗ, ᲔᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, „ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲐᲝ“, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲔᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲔ. ᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ �თᲣ ᲓᲐᲕᲐᲛᲐᲢᲔᲑᲗ, ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲔᲡ „ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ“ ᲩᲭᲐᲠ-ᲩᲭᲐᲠᲐ ᲛᲘᲔᲮᲐᲚᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛᲢᲝᲛ ᲛᲝᲣᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲐᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲨᲣᲐᲬᲔᲚᲨᲘ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲡ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲐ�გᲝᲗ: ᲛᲐᲜ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ �გᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ, ᲠᲐᲪ ᲘᲛᲘᲗ �გᲐᲛᲝᲘᲮᲐᲢᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲪ ᲐᲮᲯᲕᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲛᲝᲜᲝᲚᲝ�გᲘᲡ „ᲓᲣᲔᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲘᲗ �გᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲔᲠᲗᲝᲠᲗ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲛᲝᲡᲐᲡᲛᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲘ ᲘᲧᲝ.

ᲐᲮᲚᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ „ᲤᲣᲫᲔᲛᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ“ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲖᲔᲪ ᲓᲐᲟᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ:

— ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲔᲘᲕᲐᲜᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲓᲐᲤᲐᲠᲐ ᲜᲐᲠᲘᲧᲐᲚᲐ?

— ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲘᲔᲪᲘᲗ ᲡᲐᲧᲓᲠᲘᲡᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ?

— ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲭᲔᲠᲗ ᲛᲮᲐᲠᲡ „�პᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ“ Ა�გᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲛᲝᲡᲞᲝᲛᲑᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ?

— ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲥᲕᲗ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚ �გᲣᲜᲓᲖᲔ �გᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐ...

— ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ? ᲠᲐ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ?

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ „ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡ“ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲭᲘᲓᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲫᲐᲚᲐᲕᲓᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲔᲢ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲩᲐᲐᲙᲕᲔᲮᲔᲑᲓᲐ.

�თᲣ ᲙᲐᲪᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲬᲕᲔᲕ, ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲐᲗᲥᲛᲔᲕᲘᲜᲔ, ᲜᲣ „ᲐᲐᲒᲓᲔᲑ“, ᲜᲣ „ᲛᲝᲨᲚᲘ“, ᲨᲔᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲚ-�გᲐᲠᲛᲝᲜᲘᲗ ᲜᲣ ᲐᲣᲭᲧᲕᲘᲢᲘᲜᲓᲔᲑᲘ!

ᲐᲛᲐᲡ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲗᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲐᲪᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ!

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ

◎ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

ᲣᲛᲐᲓᲣᲠᲘ ᲤᲣᲚᲘᲧᲚᲐᲞᲘᲐ

ᲣᲛᲐᲓᲣᲠᲝᲑᲐ ᲛᲓᲐᲑᲘᲝ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲗᲐ ᲗᲐᲜᲓᲐᲧᲝᲚᲘᲚᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲣᲛᲐᲓᲣᲠᲝᲑᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲓᲐᲪᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲛᲐᲓᲣᲠᲝᲑᲐᲪ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲛᲐᲓᲣᲠᲔᲑᲐ �გᲐᲛᲝᲐᲛᲟᲦᲐᲕᲜᲐ ᲒᲣᲑᲐᲖ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲛ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝ�გᲔᲑᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲨᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ. ᲐᲓᲠᲔ, ᲖᲝ�გᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲡ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲣᲐᲠᲧᲕᲔᲡ — �თᲣᲠᲛᲔ ᲭᲘᲐᲜᲭᲕᲔᲚᲐᲡᲐᲪ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲔᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲐ. ᲔᲡᲔᲪ ᲣᲐᲠᲧᲕᲔᲡ — ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲙᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲥᲕᲗ ᲔᲡ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ: ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲫᲝᲑᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲛᲝᲰᲧᲐᲕᲗ ᲫᲐᲚᲚᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲚᲣᲙᲛᲐᲡ ᲬᲐᲣᲒᲓᲔᲑᲔᲜ, ᲬᲧᲜᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲓᲘᲡ ᲥᲘᲪᲘᲜᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲣᲮᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲐᲜ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲜᲐᲭᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲒᲓᲝ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲡ ᲫᲐᲚᲚᲘ ᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲡ. ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲨᲘ �გᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐᲘ�წᲧᲝ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ �გᲠᲫᲝᲑᲐ �გᲐᲣᲩᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲐᲦᲔᲫᲠᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲢᲐᲛᲐᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲜᲔᲑᲣᲚ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲨᲘ, ᲐᲜᲣ �გᲣᲑᲐᲖ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲨᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲛᲐᲡᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲐ ᲒᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲐ. ᲐᲠ �გᲐᲓᲐᲕᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑ თუ ᲕᲘᲢᲧᲕᲐ — ᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ!

ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲛ, ᲘᲡᲔ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲑᲔᲕᲠ ᲡᲮᲕᲐᲡᲐᲪ, ᲛᲡᲣᲥᲐᲜᲘ ᲚᲣᲙᲛᲐ ᲣᲑᲝᲫᲐ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲐᲡᲔ �გᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲐ — ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲚᲐᲜᲫᲘᲚᲐᲕᲡ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ.

ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ, �თᲣ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲛᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲭᲙᲣᲘᲗ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲨᲔᲔᲚᲐᲮᲐ ᲓᲐ ᲗᲣ ᲛᲐᲡ ᲛᲫᲐᲤᲠᲐᲓ �გᲐᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲡ, ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲛᲮᲠᲝᲑᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ, ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ Ე�გᲠᲔᲗ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ „ᲤᲝᲠᲣᲛᲘ“ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ. ᲡᲐᲦᲐᲓ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲠᲗᲐᲕᲐᲡ ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲝᲠᲝᲑᲐᲡ (ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲔᲘᲛᲔᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲟᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲗᲐᲕᲐᲡ ᲕᲐᲟᲘ!), ᲠᲔᲖᲝ ᲨᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲕᲘᲬᲠᲝ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲡ ᲓᲐ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲢᲘᲤᲠᲝᲑᲐᲡ.

ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲛ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔᲯᲔᲠ — ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ ᲢᲕᲘᲜᲜᲔᲚᲠᲫᲝᲑᲘᲡ ᲘᲧᲝᲡ. ᲜᲝᲔ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲘᲛᲭᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲔᲜ ᲛᲐᲡ. ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲫᲐᲤᲠᲐᲓ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ მის დიდ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲡ ᲓᲐ ᲪᲝᲓᲜᲐᲡ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲓᲒᲝᲛᲝᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ �გᲐᲠᲓᲐ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲘᲪᲘᲚᲔᲑᲓᲐᲝ...

ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲡ �თᲣ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲡ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲨᲔᲣᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ. ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲗᲐᲕᲮᲔᲓᲣᲠ ᲒᲐᲛᲝᲮᲓᲝᲛᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲒᲐᲡᲪᲔᲛᲔᲜ.

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲛ ᲛᲔᲢᲐᲓ „ᲑᲠᲫᲜᲣᲚᲘ“ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ — ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲘ ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ ᲘᲧᲝ. ᲔᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲛᲫᲐᲤᲠᲐᲓ ᲒᲐᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲪᲘᲜᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲛ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲡ �თᲥᲕᲐ: ᲛᲔ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲕᲐᲠᲝ. ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲒᲘ ᲣᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲝ ᲘᲜᲢᲠᲘᲒᲐᲜᲘ ᲓᲐ, ᲐᲡᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲓᲔᲛᲐᲒᲝᲒᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ? — ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ �გᲣᲜᲓᲘ (ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚ-ᲣᲙᲚᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ) ᲡᲐᲡ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲒᲛᲝᲑᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲐᲡ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ბრიფინგი გაიმართა, სადაც საუბარი შეეხო ოდესის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის მიერ მასწავლებლების პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის მოწოდებას.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, 28 მაისს, ქალაქ ბათუმში, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ მარიამ რამინაშვილმა გამართა ტრენინგი, რომლის თემა იყო მასწავლებელთა პროფესიული გამოცდებისთვის მომზადება. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი „ნაციონალური მოძრაობიდან“ ასმათ დიასამიძე წინასწარ დაუკავშირდა სხვადასხვა სკოლის პედაგოგებს და პირადად მოიწვია ტრენინგზე, რომელიც გაშუქდა მედიის მიერ.

ნაციონალური მოძრაობის წევრები ინტერვიუებში აფიქსირებენ, რომ „აღნიშნული ტრენინგის მიზანი იყო პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება“. მას შემდე, რაც მედიამ დატოვა საკონფერენციო დარბაზი, მონაწილეების განმარტებით, მათ სკაიპით ჩაერთო ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც გააცნო პედაგოგებს ნაციონალური მოძრაობის ხედვები ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებისათვის და მოუწოდა მათ, 2016 წლის არჩევნებზე მხარი დაუჭირონ ნაციონალურ მოძრაობას. სააკაშვილის ჩართვის შემდეგ დარბაზში დამსწრე პედაგოგთა ნაწილმა პროტესტის ნიშნად დატოვა იქაურობა, რადგან თავი იგრძნეს შეურაცხყოფილად (როგორც შემდეგ თავად განაცხადეს სკოლის დირექტორებთან და სოციალურ ქსელში).

„აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო მიუღებლად მიიჩნევს საგანმანათლებლო სისტემის პოლიტიზების მცდელობას. მიუღებელია ასეთი მეთოდით, კერძოდ მოტყუებით, პედაგოგების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის. მოვუწოდებთ ნაციონალურ მოძრაობას, მომავალში თავი შეიკავოს მსგავსი არასამართლებრივი და თაღლითური ქმედებებისგან და ვთხოვთ, შესაბამის ორგანოებს, მოახდინონ რეაგირება, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს,“ — განაცხადა განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ მგალობლიშვილმა.

ᲒᲘᲒᲚᲐ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ: ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲚᲩᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲡ ᲩᲐᲠᲩᲝᲔᲑᲡ ᲡᲪᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ, ᲔᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲧᲣᲚᲐᲞᲝᲗ?

აშშ-ის ელჩის იან კელის განცხადება, რომელიც დიპლომატმა „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით გააკეთა, დიპლომატიურ ჩარჩოებს სცდება — ასე თვლის „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე. ბარამიძე ამბობს, რომ იან კელის განცხადება იყო მოწოდება, რომლისთვისაც ხელისუფლებას აუცილებლად უნდა გაეცა პასუხი:

„მივმართავ დღევანდელ აღმასრულებელი სტრუქტურის პირველ პირებს, პრემიერს და ასევე პრეზიდენტსაც და პარლამენტის თავმჯდომარესაც. ყველაფერზე რომ ლაპარაკობთ, მაგრამ მთავარს არ ამბობთ. როდესაც ელჩი, თუნდაც მეგობარი ქვეყნის, თუნდაც უძლიერესი ქვეყნის, დიპლომატის ჩარჩოებს სცდება და ხალხს მოუწოდებს ლამის აჯანყებისაკენ და ქუჩაში გამოსვლისაკენ, ეს კომენტარ-გასაკეთებელი არ არის? თუ ვიღაცა ბიჭმა ხელი გაიქნია სადღაც, ის უნდა დაიჭირო, არ ვიცი ეს სწორად იყო თუ არასწორად, ეს სხვა საკითხია, მაგრამ რახან ერთი ქვეყნის ელჩმა თქვა, აშშ-ის ვგულისხმობ, ენა უნდა გადაყლაპო და ხმა არ უნდა ამოიღო? როგორ შეიძლება, ელჩმა მოუწოდოს ქვეყანას, ტელევიზიასთან დაკავშირებით, სამართლიანად თუ არასამართლიანად მიდის სასამართლო ეგ სხვა საკითხია, მაგრამ ქართველებმა ეს არ უნდა მოითმინონ, ტოლერანტული მიდგომა არ უნდა გქონდეს. რაღა დარჩა? ე.ი. გამოდით ქუჩაში. ამას გვიანონსებს? ვერც ერთმა ამ გაჭირვებულმა, ვითომ ხელისუფლების ვითომ თანამდებობის პირმა, ვერ მოსთხოვა პასუხი, რომ რატომ ამბობთ ამას? ან რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, არ მოითმენენ ქართველები?! სახალხო აჯანყებას თუ სხვა რამეს? — განაცხადა გიგლა ბარამიძემ „პირველ რადიოსთან“ საუბარში.

◎ ᲕᲘᲖᲐᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲠᲐᲢᲠᲝᲛ ᲒᲕᲐᲛᲣᲡᲠᲣᲭᲔᲑᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ?

ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ სააგენტო „როიტერის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია ოთხშაბათს, პირველ ივნისს გამართული ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების თათბირის შესახებ, რომელზეც საქართველოსთვის (თურქეთთან, უკრაინასთან და კოსოვოსთან ერთად) უვიზო რეჟიმის მიცემის საკითხს იხილავდნენ (ავტორი — გაბრიელა ბაჩინსკაია).



როგორც პუბლიკაციაშია ნათქვამი, ევროკავშირის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, შეუთანხმებლობის გამო, ამ საკითხის განხილვა სამომავლოდ გადადეს. მთავარ პრობლემას მიგრაციის საფრთხე წარმოადგენს. „როიტერმა“ დიპლომატიური წყაროების საფუძველზე გაარკვია, რომ ვიზალიბერალიზაციას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენლები. სავარაუდოდ, მომდევნო შეხვედრა 14 ივნისს უნდა გაიმართოს.

უვიზო რეჟიმის დაწესების საკითხში ძირითადად თურქეთის პრობლემა მოიაზრება, რომლის მოსახლეობა თითქმის 79 მილიონს შეადგენს. თურქეთმა, ევროკავშირთან დადებული შეთანხმების საფუძველზე, უვიზო რეჟიმის მისაღებად 72-პუნქტიანი პირობა უნდა შეასრულოს (პრინციპში, ბევრი მათგანი უკვე შესრულებულია, მაგრამ ყველაზე მთავარი — ტერორიზმის დეფინიციის შეცვლა ეროვნულ კანონმდებლობაში, ჯერჯერობით არ მომხდარა).

ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლებმა ყურადღებით განიხილეს უვიზო რეჟიმის დაწესების საკითხი საქართველოს მიმართაც, მაგრამ რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღიათ: დიპლომატების თქმით, საკითხის დადებითად გადაწყვეტის წინააღმდეგ იგივე ქვეყნები — საფრანგეთი და გერმანია გამოდიან. **„ჩვენ პროცესის შეჩერება არ გვსურს. უბრალოდ, სიფრთხილეს ვიჩენთ“,** — აღნიშნა ერთ-ერთი იმ ქვეყნის დიპლომატმა, რომელიც უარს აცხადებს საქართველოსთვის ვიზალიბერალიზებაზე.

ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს უვიზო რეჟიმის მისაღებად სხვადასხვა მიზეზები აქვთ: თურქეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ რადგანაც ის ახლო აღმოსავლეთიდან მიგრანტთა ნაკადს აჩერებს, ამიტომ ამის სანაცვლოდ თურქეთი თავისი მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმს იმსახურებს; პოსტსაბჭოთა საქართველოსა და უკრაინისათვის უვიზო რეჟიმის მიღება რუსეთთან გეოპოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ ელემენტად ითვლება, რადგან ორივეს პროდასავლური კურსი აქვთ აღებული; კოსოვო ბალკანეთის ნახევარკუნძულის ბოლო ქვეყანაა, რომელიც უვიზო რეჟიმის გარეშეა დარჩენილი.

ამასთან, თითოეული ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოებს თავიანთი პრობლემები აქვთ, რაც ხელს უშლის ვიზალიბერალიზაციას. მაგალითად, თურქეთში ძალიან ხშირად ირღვევა ადამიანის უფლებები, უკრაინაში კორუფციაა გაბატონებული, საქართველოდან კი ევროპა ორგანიზებული დამნაშავეობის ჯგუფებით „მარაგდება“ (შესაბამისად, ბერლინი სიფრთხილეს იჩენს საქართველოს მიმართ და თვლის, რომ გერმანიაში მოქმედი კრიმინალური ბანდების უმეტესობა ქართული წარმოშობისაა). რაც შეეხება კოსოვოს, მისი დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ უღიარებია ევროკავშირის ხუთ წევრ ქვეყანას — საბერძნეთს, რუმინეთს, კვიპროსს, სლოვაკეთს და ესპანეთს.

დაახლოებით ორ მილიონ კოსოვოელს, ქართველს და უკრაინელს უკვე აქვთ შენგენის ზონაში მოგზაურობისათვის აუცილებელი მაღალი დონის ბიომეტრიული პასპორტები, თურქეთს ჯერ მსგავსი დოკუმენტებით საკუთარი მოქალაქეები უზრუნველყოფილი არ ჰყავს. ეს ნიშნავს, რომ უვიზო რეჟიმით საწყის ეტაპზე მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა ისარგებლებს. მაგრამ ევროსკეპტიკოსები მიუთითებენ, რომ საბოლოო ჯამში სასურველი არ იქნება ევროკავშირმა კარი გაუღოს ამ ოთხი ქვეყნის 130-მილიონიან მოსახლეობას — ევროპას ხომ ისედაც უამრავი პრობლემა აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, მიგრანტების გამო.

ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში იმედს მაინც არ კარგავს. საქმე ისაა, რომ (ქართველ საზოგადოებაში) კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ევროკავშირის ავტორიტეტი.

◎ ᲐᲛᲐᲡᲐᲪ ᲛᲝᲕᲔᲡᲬᲐᲠᲘᲗ!

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲦᲛᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ!

„ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ შინაგან საქმეთა მინისტრმა თომას დე მეზერმა ბერლინში პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს 2015 წლის ქვეყნის კრიმინალური სტატისტიკა წარუდგინა. ასეთი პრესკონფერენციები ყოველწლიურად ტარდება ხოლმე, მას ტრადიციული ხასიათი აქვს, თუმცა ანგარიშში ერთგვარი სიახლეც იყო — კრიმინალურ სტატისტიკაში ცალკეა ასახული უცხოელების მიერ ჩადენილი დანაშაულებანი“, — აღნიშნულია რადიოსიუჟეტში.

„2015 წელს გერმანიაში ლტოლვილთა ზრდის არნახული ტემპი დაფიქსირდა — თავშესაფრის მსურველთა რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა და რადგანაც საზღვრის არალეგალურად გადმოლახვა დანაშაულად ითვლება, ამიტომაც კრიმინალური სტატისტიკა მატულობს. საერთოდ კი, გერმანია ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მშვიდ სახელმწიფოს სტატუსს ინარჩუნებს, თვით გერმანელებს შორის დანაშაულის დონე სტაბილურია და არ მატულობს“, — განაცხადა მინისტრმა.

უცხოელთა წილი სამართალდარღვევებში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი — 27%-ით, თუმცა სხვადასხვა ეროვნების მიგრანტების მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა ერთმანეთისაგან განსხვავდება. **„სირიელ ლტოლვილებს შორის დანაშაულის ჩადენისაკენ სწრაფვა საშუალოზე დაბალია, მაგრამ თავშესაფრის იმ მაძიებელთა შორის, რომლებიც ჩრდილოეთ აფრიკისა და ბალკანეთის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქვეყნებიდან, აგრეთვე საქართველოდან არიან, დამნაშავეობის დონე საშუალოზე მაღალია“,** — ხაზი გაუსვა მინისტრმა.

ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲗ ᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲐ. ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲡᲐᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲔᲭᲕᲛᲘᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲛᲫᲐᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲫᲕᲔᲣᲤᲠᲓᲝᲛᲔᲑᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ (ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲰᲐᲠᲕᲐ, ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲠᲪᲕᲐ) ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ (38%), ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲜᲔᲑᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ — ᲙᲝᲡᲝᲕᲝᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲛᲐᲗ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲔᲠᲑᲔᲑᲘ.

„საქართველოდან ჩვენთან ბევრი მოქალაქე ჩამოდის, ითხოვენ თავშესაფრისა და დახმარების მიღებას და სანამ შესაბამისი ორგანოებიდან პასუხს მიიღებენ, ისინი გერმანელების ბინების ძარცვას იწყებენ“, — ასეთი პასუხი გასცა შინაგან საქმეთა მინისტრმა „დოიჩე ველეს“ კორესპონდენტის შეკითხვას და ხაზი გაუსვა, რომ ქართველები ბოროტად სარგებლობენ გერმანული სამართლით თავშესაფრის მიღებაზე და ამ მხრივ მათი ქცევა, სხვებთან შედარებით, „ყველაზე აღმაშფოთებელია“.

თომას დე მეზერის თქმით, ასეთი სიტუაცია, რა საკვირველია, ორივე სახელმწიფოს მთავრობებს აწუხებს: **„ამას წინათ ბერლინში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი იყო ჩამოსული და მასთან მოლაპარაკების დროს ხელი მოეწერა შეთანხმებას სისხლის სამართლის დანაშაულის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. არ გვაქვს პრობლემა საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დეპორტაციის საკითხშიც, თუმცა, ცხადია, სანამ დეპორტს მოახდენ, მანამ დამნაშავე უნდა დაიჭირო“,** — აღნიშნა მინისტრმა და პრესკონფერენციის მონაწილეებს აღუთქვა, რომ სამინისტრო დამატებით ზომებს მიიღებს „ქართული ფენომენის“ დაძლევის მიზნით.

როკის გვირაბი და მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი აფხაზეთში

სანამ ქართველ ფეხბურთომანთა მრავალრიცხოვანი არმია ევროპის პირველობისთვის ემზადება, რათა მცირე ხნით მაინც დაივიწყოს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მარაზმი, სეპარატისტულ აფხაზეთში დიდი ზარ-ზეიმით გრძელდება „არაღიარებული ქვეყნების მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში“.

სოხუმის მედია ყველა რესურსს იყენებს, რათა ამ მოვლენას რაც შეიძლება მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს: მოეწყო საზეიმო გახსნის გრანდიოზული ცერემონია, გამოიტანეს დროშები, ყველა თამაშზე ანშლაგია და ა.შ.

თითქოსდა, რა სასაცილოა არა? სასაცილოა, აბა რა არის „დასავლეთ სომხეთისა“ და „სომალილენდის“ თუ „იაპონელ კორეელთა“ მატჩი! დიახ, კომიკურია საფეხბურთო თვალსაზრისით, მაგრამ სულაც არაა სასაცილო პოლიტიკური შედეგების მხრივ.

აფხაზ სეპარატისტთა ელიტა ტრადიციულად შედგება ძალიან ჭკვიანი, გაქნილი, ქვეწარმავლურად ეშმაკი, დიდოსტატი პროფესიონალებისაგან, რომლებიც უკვე 25-30 წელია, რაუნდს-რაუნდზე უგებენ ქართველ კოლეგებს და შემთხვევით ანუ სპონტანურად არაფერს აკეთებენ: მათი ყველა აქცია, ყველა ნაბიჯი, ნებისმიერი მიმართულებით, იმ მიზანს ემსახურება, რათა შექმნან და გამოიყენონ მათთვის სასარგებლო პრეცედენტები, მიაღწიონ საერთაშორისო ლეგიტიმაციას, საბოლოოდ კი სრულფასოვან საერთაშორისო აღიარებას.

განსხვავებით ოსი ირიდენტისტებისგან, აფხაზებს სულაც არ ეპიტნავებათ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა. ისინი, „ნაბიჯ-ნაბიჯობის“ მეთოდით, მსოფლიო აღიარებისკენ ისწრაფვიან! 1993 წლიდან დაწყებული, ამ გზაზე უკან არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ; მხოლოდ წინ მიიწევენ, თუნდაც მცირე ნაბიჯებით, მაგრამ განუხრელად და იქედნური ეშმაკობით (პოლიტიკაში ამას პროფესიონალიზმი ქვია), რასაც ხელს უწყობს ქართველ ელიტათა სრული არაპროფესიონალიზმი, დოყლაპიობა და უპასუხისმგებლობა.

* * *

ეს მკაფიოდ გამოჩნდა აფხაზეთის „საფეხბურთო ჩემპიონატში“. ამ ღონისძიებას სეპარატისტები ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ ყურადღება არ მიაქციეს, თუ ზოგიერთი ნაკრების მონაწილეობა (ან პირიქით, არმონაწილეობა) ამა თუ იმ პარტნიორ ქვეყანას გაანაწყენებდა. მაგალითად, „დასავლეთ სომხეთის“ მონაწილეობა თურქეთს არ მოეწონებოდა, ხოლო „ჩრდილო კვიპროსისა“ — საბერძნეთს. მაგრამ სეპარატისტებს ესმით ის, რაც ვერა და ვერ გაიგო ქართველმა ელიტამ: პოლიტიკა რესურსებისა და ტექნოლოგიების ბრძოლაა, სადაც არსებობს მხოლოდ პრაგმატული გათვლა და არ რჩება ადგილი ისეთი ცნებებისთვის, როგორიცაა „წყენა“, „ერთგულება“, „სიბრალული“, „სინდისიერება“, „კეთილგანწყობა“, „მეგობრობა“ და ა.შ.

აფხაზი სეპარატისტებისთვის მხოფლიო ჩემპიონატი თუნდაც იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მას დაესწრო ლეგიტიმური და ძალიან გავლენიანი გლობალური ორგანიზაციის, FIFA-ს ორი „მატჩ-ინსპექტორი“. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, „ისინი არ იყვნენ FIFA-ს ოფიციალური წარმომადგენლები“, ნამდვილად არიან FIFA-ს თანამშრომლები. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ წარმოადგენდნენ უნივერსალურ საფეხბურთო ორგანიზაციას კონკრეტულად ამ ტურნირზე, რაც სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს არ გააჩნიათ ოფიციალური სტატუსი და მათი დასწრება საერთოდ არაფერს ნიშნავს საერთაშორისო ლეგიტიმურობის თვალსაზრისით.

გავითვალისწინოთ: პოლიტიკური შედეგების მხრივ ეს ჩემპიონატი მიზერული შედეგის მომტანია, მაგალითად, თურქეთისთვის, რომელიც სრულად აკონტროლებს იმავე „დასავლეთ სომხეთს“, მაგრამ საქართველოსთვის, რომელიც აფხაზეთის ვერც ერთ მტკაველ მიწას ვეღარ აკონტროლებს 2008 წელს კოდორის ხეობის სამარცხვინო ჩაბარების შემდეგ — კიდევ ერთი, ძალიან მწარე სახელმწიფოებრივი მარცხია!

ამგვარი თითქოსდა უმნიშვნელო „წვრილმანებით“ ქსოვენ სეპარატისტები იმ საერთაშორისო აღიარებას, რომელიც ადრე თუ გვიან (თუ ასე გაგრძელდა) აუცილებლად დადგება. არა აქვს ისტორიული მნიშვნელობა ხვალვე თუ 20 წლის შემდეგ — სეპარატისტებს არსად ეჩქარებათ, რაკი გადაწყვიტეს ისტორიული ამოცანა: განახორციელეს ეთნოწმენდა აფხაზეთში, ესე იგი გაწმინდეს მიწა-წყალი მტრული ქართველი მოსახლეობისაგან.

მას შემდეგ ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტს ლეგიტიმაციისთვის იყენებენ. მათ შორის ეკლესიის საკითხსაც. სწორედ ამიტომაა მათთვის მნიშვნელოვანი კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობა და აფხაზეთის წმიდა მიტროპოლიის შექმნა იმის მიუხედავადაც კი, რომ ეს მოსკოვს არ მოსწონს.

* * *

ამ ფონზე უბრალოდ ამაზრზენია უსასრულოდ ბრიყვული საუბრები: „რა მოხდა მერე, ეს ხომ ჰუმანიტარული საკითხია, ითამაშონ ფეხბურთი, გაერთონ...“ არადა, მარტო „გართობა“ რომ იყოს, სეპარატისტული ელიტა ასეთ ყურადღებას არ მიაქცევდა. ასეთივე უგვანი ლოგიკით, „რა მოხდა მერე, თუ FIFA-ს წარმომადგენლები დაესწრებიან?“ ან „რა მოხდა მერე, თუკი აფხაზეთი ჯერ ამ საფეხბურთო ორგანიზაციის (როგორც კოსოვო), შემდეგ კი გაეროს წევრი გახდება?“



რა მოხდა მერე?

„პროცედურებზე ნუ ჩაიციკლებითო“. ანუ, „მოდით, ნუ დავიწყებთ ახლა ჩხირკედელაობას, როგორ მოხვდნენ FIFA-ს ოფიციალურ წარმომადგენელთა (არა ამ ტურნირზე წარმომადგენელთა, მაგრამ ზოგადად წარმომადგენელთა) სტატუსის მქონე ადამიანები ტურნირზე...“ დავაკვირდეთ — ისევ „ზაქარეიშვილისეული სიბრძნეა“: „ნუ მოვთხოვთ აფხაზებს, მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა საქართველოში უფასოდ მკურნალობისა და სხვა პროგრამებით სარგებლობისთვის: მთავარი ხომ ადამიანია და არა პროცედურა?“

ჰოდა, „რა მოხდა მერე თუ FIFA-ს წარმომადგენლები დაესწრებიან მსოფლიო ჩემპიონატს?“ „ჰუმანიტარული საკითხები ხომ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროცედურა?“ თანაც შერჩევით — ლტოლვილთა საკითხი არა, ხოლო საფეხბურთო ჩემპიონატი — კი, ნამდვილად „ჰუმანიტარული თემაა“.

ამ იდიოტურ „აზრთაწყობას“ რომ კიდევ ერთ „რა მოხდასთან“ მივყავართ („რა მოხდა მერე, თუკი 200 000 ქართველი გამოყარეს აფხაზეთიდან“), სამწუხაროდ, ვერავინ ამჩნევს. თუმცა, სეპარატისტები მშვენივრად ამჩნევენ და ხვდებიან.

ამავე ლოგიკით: „რა მოხდა მერე“, თუკი სეპარატისტებმა, 1999 წელს, დამოუკიდებლობის რეფერენდუმი ისე ჩააატრეს, რომ მასში ქართველ ლტოლვილებს მონაწილეობა არ მიუღიათ? რა მოხდა მერე? „ნუ ჩავიციკლებით პროცედურებზე და იურიდიულ კაზუისტიკაზე!“

* * *

მივაძციოთ ყურადღება: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მხოლოდ შიშნეულად ამოიკნავლა: „ველით, რომ FIFA ადეკვატურად შეაფასებს ე.წ. ოფიციალური წარმომადგენლების მონაწილეობას აფხაზეთის ტურნირშიო“. ასეთი ტონით თუ დაელაპარაკები საერთაშორისო ბიუროკრატიას, ის იოლად „დაგიკიდებს“: შეეცდება, შენს ხარჯზე გადაწყვიტოს წინააღმდეგობა და იმავდროულად, „თამაშის წესებიც“ შეინარჩუნოს სხვა შემთხვევისთვის იმ დათქმით, რომ საქართველო — გამონაკლისია, ესე იგი არასასურველ პრეცედენტს არ ქმნის.

გავიხსენოთ კიდევ ერთხელ 2008-2009 წლები, როდესაც ისე იქცეოდნენ, თითქოს არც არაფერი არ მოხდარა. თუმცა მათზე „ახით“, რუსეთმა დაანახა, რომ ის პრეცედენტი, რეალურად, მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ ბიუროკრატია საკუთარ დანაშაულს ასე იოლად არასდროს აღიარებს!

ამიტომ, ქართული დიპლომატიის მხრიდან სწორედაც ადეკვატური იქნებოდა ღიად იმაზე აპელირება, რომ დიახაც, დასავლეთის არაადეკვატურმა რეაქციამ 2008 წლის რუსულ აგრესიაზე, შექმნა პრეცედენტი იმისთვის, რაც ყირიმში მოხდა და დონბასში ხდება.

ეს პარალელები, რასაკვირველია, ძალიან გააღიზიანებდა კოლექტიურ დასავლელ „ტალიავინის“, რომელიც საკუთარ დანაშაულს არასდროს აღიარებს ნებით, მაგრამ როდესაც ეს კოლექტიური ტალიავინი უკმეხად გეუბნება: „რა შუაშია ყირიმი ან დონბასი 2008 წელთანო“, ანუ თავხედობის ყოველგვარ ზღვარს გადადიან, დიახაც, ადეკვატური იქნება სკანდალი მოუწყო და ყავა შეასხა სახეში.

დიპლომატიური მეთოდებით რასაკვირველია...

* * *

ამიტომ, თბილისის მიმართვა FIFA-სადმი სულ სხვა ტონალობისა უნდა ყოფილიყო: დიახაც, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უნდა აეტეხა საერთაშორისო სკანდალი და გაეკეთებინა დაახლოებით ასეთი განცხადება: „რცხვენოდეს FIFA-ს, რომ მისი ოფიციალური წარმომადგენლები მონაწილეობენ ამ სეპარატისტულ ტაკიმასხარაობაში! იძულებული ვართ, დავასკვნათ, რომ გარკვეული ძალები FIFA-ს ხელმძღვანელობაში, აფხაზეთის ჩემპიონატის მდუმარე მხარდაჭერით, ძირს უთხრიან საერთაშორისო საფეხბურთო სისტემის სტაბილურობას; ხელს უწყობენ ამ სისტემის ნგრევას იმით, რომ სათანადოდ არ რეაგირებენ „ოფიციალურ წარმომადგენელთა“ სტატუსის მქონე პირთა მხრიდან ეთნოწმენდის ორგანიზატორ სეპარატისტთა მხარდაჭერაზე“.

თუ ქართული მხარე მოახერხებდა დისკურსის ამ სიბრტყეში გადაყვანას (თუმცა, ამასაც ნიჭი სჭირდება) ის ბიუროკრატია აუცილებლად დაიცავდა საკუთარი მუნდირის ღირსებას, შეეშინდებოდა პრეცედენტის და რეაგირებაც არ დააყოვნებდა.

საერთაშორისო ბიუროკრატიის სისტემური არსიდან გამომდინარე, მასზე ზეწოლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი არ მისცემ საშუალებას მიჩქმალოს პრეცედენტი; აგრეთვე დაემუქრები მისი „მუნდირის“ (ანუ კორპორაციულ) ღირსებას.

მაგრამ როდესაც უსუსურ, შიშნეულ, მთხლე პარტნიორთან აქვს საქმე, FIFA-ს ბიუროკრატია (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ბიუროკრატია), რა თქმა უნდა, შეეცდება, შენს ხარჯზე გადაწყვიტოს წინააღმდეგობა და „არ აიტკივოს აუტკივარი თავი“.

* * *

ამ ჩემპიონატთან დაკავშირებით ქართული ელიტების კიდევ ერთი თანდაყოლილი მანკი გამოვლინდა: მათ ტრადიციულად უჭირთ ლობისტური ჯგუფებით მუშაობა ქვეყნის ინტერესების დასაცავად და განსახორციელებლად:

რასაკვირველია, აფხაზ სეპარატისტებს საკუთარი ლობისტები ჰყავთ იმავე FIFA-ში — „გულშემატკივარი“ ქვეყნების წარმომადგენელთა სახით, მაგრამ საქართველო რატომ ვერ ახერხებს თავისი ლობისტების მობილიზებას, რათა ან საერთოდ არ დაუშვას ამგვარი ტურნირის ჩატარება, ან დაბლოკოს „ოფიციალური წარმომადგენლების“ მონაწილეობა და თუ ეს ვერ მოხერხდა, ის მაინც შეძლოს, ისინი სათანადოდ დაისაჯონ, პრობლემები შეექმნათ და ამგვარმა საქციელმა მათთვის უშედეგოდ არ ჩაიაროს?

ვერასდროს, ვერც ერთ ეპოქაში ვერ ახერხებდნენ ამას ქართველი ელიტები ისევ და ისევ მათი ტრადიციული უნიჭობისა და ინტელექტუალური სიმწირის წყალობით.

აი, შორეული მაგალითი: დღემდე გვეუბნებიან, რომ 1970-იან წლებში, „როკის გვირაბის“ გაყვანა (სწორედ ამ გვირაბმა დაგვაკარგინა დღეს შიდა ქართლი) იმან განაპირობა თურმე, რომ მას საბჭოთა გენერალი, ეროვნებით ოსი პლიევი ლობირებდა მოსკოვში.

მერედა, განა საქართველოს არ შეეძლო საკუთარი ინტერეს-ჯგუფებით საკუთარი ლობისტებით მუშაობა? სად ქართველი ელიტის იმდროინდელი შესაძლებლობები ამ თვალსაზრისით და სად ოსი სეპარატისტებისა, რომლებიც უკვე მაშინ იყვნენ სეპარატისტულად განწყობილნი და იმავე „ნაბიჯ-ნაბიჯობის“ ტექნოლოგიით მუშაობდნენ? მაგრამ ამას ხომ კულტურა, ნიჭი და პროფესიონალიზმი სჭირდება — პასუხისმგებლობასთან ერთად.

არც ერთი ეს თვისება ქართველ ელიტებს არ გააჩნიათ. და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, სწორედ ეს უნიჭობა, უნიათობა და არაპროფესიონალიზმი უზრუნველყოფს იმას, რომ სეპარატისტები, ადრე თუ გვიან, როგორც ჩანს, საბოლოო მიზანსაც მიაღწევენ.

მიხეილ გეწაძე,
ХО-ЗОІВ-ЗЕО

რედაქციისაგან: ძნელია, ბოლომდე დაეთანხმო მ. გეწაძის ზედმეტად მკვახე, მიკერძოებულ შეფასებებს, მაგრამ რადგანაც საქართველოში პრესის (მასმედიის) სრული თავისუფლებაა, ამ წერილს უცვლელად ვბეჭდავთ. იმედი გვაქვს, რომ მას ჩვენი პოლიტიკოსები, ექსპერტები, სპორტსმენები (ფეხბურთის ფედერაციიდან მაინც), აუცილებლად გამოეხმაურებიან და საკუთარ გულწრფელ მოსაზრებებს გაგვიზიარებენ.

განსაკუთრებით საინტერესო იქნება ბატონ პაატა ზაქარეიშვილის აზრი.

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №251

"ვინმე... მიხეილი"

ამა წლის 23 აპრილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა (№ 79, გვ. 12) ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მეცნიერ-დემოგრაფის, გ-ნ ანზორ თოთაძის წერილი – **„სხვისი გახარების უნარი“**, რომელშიც მოყვანილია ტექსტი წერილისა, არჩილ ჯაჯანაშვილს რომ გაუგზავნია სამკურნალოდ წაღვერში მიმავალ არჩილ ჯორჯაძისათვის დახმარების აღმოჩენის თხოვნით. გაგვიჩნდა ვარაუდი, რომ მისი ადრესატი – **„ვინმე მიხეილი“** – თავის დროზე საკმაოდ ცნობილი პიროვნება, სატყეო საქმიანობის ამაგდარი მოღვაწე **მიხეილ მურვანიშვილი** უნდა ყოფილიყო.



თამარ მურვანიშვილის მოგონებებიდან: „ადრინდელ წლებში, რევოლუციამდე, წაღვერში ჩამოსულ ქართველ ინტელიგენციას მამა დიდ დახმარებას უწევდა, მეტადრე ტუბერკულოზით დაავადებულებს. ის დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა პუბლიცისტ არჩილ ჯორჯაძის მიმართ, რომელიც დაავადებული იყო მძიმე ავადმყოფობით და ხშირად უხდებოდა წაღვერში ყოფნა არა მარტო ზაფხულობით, არამედ ზამთრობითაც კი. ამიტომ იყო, რომ მამა განსაკუთრებული თანაგრძნობით ექცეოდა მას, თავს მოვალედ თვლიდა დახმარებოდა და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის. მახსოვს, ყოველდღე დანიშნულ საათზე მამას თავისი ეტლით მიჰყავდა არჩილ ჯორჯაძე სასეირნოდ ფიჭვნარში ბაკურიანის გზით, ზამთრობით კი მარხილით მიასრიალებდნენ დათოვლილ ხეობაში. მამა სიმარტოვეს არ აგრძნობინებდა, ხშირად იყო მასთან, ესაუბრებოდა და უქარწყლებდა ავადმყოფობას (ეკონომიკურადაც ეხმარებოდა)“. ეს ფაქტი დასტურდება წაღვერის მკვიდრის მარიამ აბაშიძის მოგონებებითაც, რომლებიც მოგვიანებით გახდა ცნობილი: „... აქ ისვენებდა ერთ წელიწადს, ზამთარ-ზაფხულს, ჭლექით დაავადებული არჩილ ჯორჯაძე. მის შემდეგ 1913-1914 წლებში, გადასახლებიდან დაბრუნებული, ისიც ჭლექით დაავადებული იროდიონ ევდოშვილი“; ასეთი ფაქტებით უტყუარად დასტურდება ის, რომ გ-ნ ანზორ თოთაძის მიერ მოხმობილი წერილის ადრესატი უდავოდ მიხეილ მურვანიშვილი უნდა იყოს! ისიც ირკვევა, რომ გ-ნ მიხეილს არა მარტო სხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისათვისაც გაუწევია მსგავსი დახმარება, არამედ იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ეწეოდა ფასდაუდებელ საზოგადოებრივ საქმიანობას და უშურველ ქველმოქმედებას.

ვინ იყო ეს პიროვნება? მშრალი „საანკეტო“ ენით, მისი შრომითი ბიოგრაფია ასე გამოიყურება: მიხეილ ილიას ძე მურვანიშვილი დაიბადა 1875 წელს; 1893 წელს დაამთავრა ახალციხის სატყეო სასწავლებელი და იმავე წელს დანიშნეს მარტყოფის სატყეოს უფროსის თანაშემწედ; 1897 წლიდან გადაყვანილ იქნა შულავერში იმავე თანამდებობაზე; 1903 წლიდან მუშაობს აბასთუმნის სატყეოს გამგის თანაშემწედ, 1910 წლიდან კი წაღვერის სატყეოს უფროსად; 1922 წელს ინიშნება ბორჯომის მამულის მმართველის მოადგილედ და ტყეების მთავარ გამგედ; 1933-34 წლებში იგი წყალტუბოს სატყეო მეურნეობის, ხოლო შემდეგ – პენსიაზე გასვლამდე (1948 წ.) სურამის სატყეო მეურნეობის დირექტორია.

– „1923 წელს ბორჯომში მოაწყო რესპუბლიკაში პირველი თესლის საშრობი ქარხანა, რომელიც აღჭურვილი იყო ყოველგვარი დამხმარე მანქანა-იარაღებით, ამით საფუძველი ჩაუყარა ტყის სათესლე მეურნეობას... ეს თესლი, საქართველოს გარდა, იგზავნებოდა მოსკოვის, ლენინგრადის, კურსკის, ვორონეჟის ოლქების ტყეებში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, საზღვარგარეთაც. თითქმის ყველა სატყეო მეურნეობასთან მოეწყო სანერგეები, სადაც გამოიყვანეს ფიჭვის ახალი ჯიშები“; „მურვანიშვილმა დაუტოვა სამშობლოს, ხალხს წლობით დაუღალავი შრომით შექმნილი ძვირფასი, ფასდაუდებელი განძი. ეს განძი - ფიჭვის ხელოვნური ტყეების სახითაა წარმოდგენილი ბუნებაში, რომლებიც დღეს საქართველოს მრავალ კუთხეს ამშვენებენ (სურამი, ბორჯომი, წაღვერი, ბაკურიანი, აბასთუმანი, წყალტუბო, ბახმარო და სხვ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია სურამის ცნობილი ფიჭვის კულტურები, რომლებიც თვალწარმტაც ტევრებად, ბუნებრივ უჯანო გვირგვინად გადაჭიმულან სურამსა და ხაშურს შორის, მდინარე სურამულას აუზში“; „მისი მთავარი საზრუნავი მთის ფერდობებზე ახალი ტყეების გაშენება და გადარჩენილი ტყეების მოვლა-პატრონობა იყო“; „საქართველოს ტყეებს ბევრგან ატყვია მისი მადლიანი ხელი“; „მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ტყის მეურნეობის სათანადო კადრების აღზრდა-მომზადებაში. იგი თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნე იყო და დიდი გამოცდილება ჰქონდა ტყეების აღდგენა-განახლებაში, რასაც უშურველად, გულითადად უზიარებდა ახალგაზრდა მეტყევეებს“. მისი „მიზანი იყო ისევე შეეყვარებინა ახალგაზრდობისათვის ტყე, როგორც თვითონ უყვარდა, შეეყვარებინა ტყისმცოდნეობა, როგორც მათი მომავალი საქმიანობის საფუძველი. ამიტომ იგი სიყვარულით შეჰყურებდა ახალგაზრდა მეტყევეებს, როგორც თავისი სანუკვარი ოცნების გამგრძელებლებს“; „მიხეილ მურვანიშვილი გვხიბლავდა თავისი ახალგაზრდული შემართებით, მიზანსწრაფული შეტევით, საქმისადმი ენთუზიაზმით; სურვილი გვქონდა მიგვებაძა მისთვის, მისი მუყაითი შრომისათვის. ბევრი კარგი თვისებით იყო აღჭურვილი ეს ადამიანი. ძლიერ დიდი სიკეთეც მოჰქონდა ხალხისათვის თავისი ყოველდღიური საქმიანობით“; „სადაც კი მას უმუშავია, ყველგან არის დარჩენილი მისი კეთილი კვალი. ზოგჯერ არც კი გჯერა, რომ ეს მშვენიერი ტყეები – ადამიანის ხელით დარგული, სულ პატარა ნერგებისგან არის აღმოცენებული. ტყის ასეთი უსაზღვრო სიყვარულის, გაშენებისა და ქომაგობისათვის მისმა მეგობარმა მწერლებმა და პოეტებმა მიხეილს **ტყის რაინდი** შეარქვეს. ეს სახელიც ძალიან უხდებოდა წარმოსადეგ ვაჟკაცს, ყველას რომ ხიბლავდა თავისი გარეგნობით, განსაკუთრებით კი შესანიშნავი ადამიანური თვისებებით. იგი სულითაც რაინდი იყო – გულმოწყალე და შეუპოვარი. მან მთელი თავისი სიცოცხლე საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობას მოახმარა“; „განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო მიხეილ მურვანიშვილმა წაღვერის სატყეო მეურნეობას. მისი ხელმძღვანელობით ბორჯომში, წაღვერში, ბაკურიანში, აბასთუმანში მრავალ ჰექტარზე გაშენდა ტყე. მთა „გვირგვინას“ ძველი ნახანძრალი, მოშიშვლებული ფერდობები მთლიანად გაამწვანა. ყველგან ტყე ააშრიალა, გზა-ბილიკები გაიყვანა. წაღვერის საუკეთესო კუთხე – კეჩხობიც – პირველად მან დაგეგმა აგარაკებისათვის“; „უაღრესად სწავლული ადამიანი, ნამდვილი ქართველი, დიდი მოღვაწე, ქველმოქმედი, გამრჯე და მხნე პიროვნება იყო, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო წაღვერს მის კეთილმოწყობაში და გლეხობას მისი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაში“, მაგალითად, სკოლის დაარსებასთან დაკავშირებით, „მიხეილ მურვანიშვილმა გამოუყო ხე-ტყე, გამოიყვანა კომლზე კაცი ქვის მოსატეხ-მოსატანად, წაღვერის პატარა ინტელიგენციამ ფულადი დახმარება გაიღო და აშენდა პატარა ორსართულიანი ქვიტკირის შენობა“; „ ... დააარსა წაღვერის კოოპერატიული ამხანაგობა... ეს კოოპერატივი ზაფხულობით დიდ მომსახურებას უწევდა ჩამოსულებს და სანოვაგით ამარაგებდა მოაგარაკეებს“; „მ. მურვანიშვილის მიერ აღმოჩენილი იყო ახალი მუავე წყალი წაღვერის ციხის ხევში. იქ იყო მიყვანილი ლამაზი გზა“; „წაღვერის შემდგომი განვითარება მდგომარეობდა კეჩხობის დაგეგმარებაში. მ. მურვანიშვილმა კეჩხობში ნაკვეთები მოაგარაკეებს დაურიგა“; „... მ. მურვანიშვილის პირადი ინიციატივით აშენდა საზაფხულო თეატრი, რომელიც ბევრი კარგის მომსწრე იყო. აქ იდგმებოდა წარმოდგენები დიდი კორიფეების მონაწილეობით“.

მიხეილ მურვანიშვილის ოჯახი

მიხეილ მურვანიშვილი, გარდა იმისა, რომ თავდაუზოგავად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს, „...გულისხმიერი საზოგადო მოღვაწეც გახლდათ. იგი დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. ჯერ კიდევ რევოლუციამდე ღარიბი გლეხობის დიდი მოსარჩლე და ქომაგიც იყო. ბორჯომის ხეობაში დღემდე შემორჩენილია მურვანიშვილის გზა. მეგობრული კავშირი ჰქონდა მწერლებთან, პოეტებთან..., ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხელოვნების მოღვაწეებთან, მსახიობებთან“. აი, ჩამონათვალი იმ ცნობილი სახეებისა (უნდა ვივარაუდოთ, რომ – არასრული), ვისთანაც ურთიერთობა, ბევრი მათგანის „სტუმრიანობითაც“ გამოხატული (განსაკუთრებით – წაღვერსა და სურამში), დოკუმენტურად არის დადასტურებული – საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები: აკაკი სვანიშვილი, თედო სახოკია (იგი ხშირად სტუმრობდა მიხეილის ოჯახს სურამში), მიტროფანე ლაღიძე, სოლომონ ქურდიანი; თეატრალური ხელოვნების მუშაკები: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, აკაკი ფაღავა, ვასო გოძიაშვილი, ნიკო გოცირიძე, ვასო და ტასო აბაშიძეები, ნატო ჩხეიძე, მიშა ქარელი, ზარდალიშვილი, შალიკაშვილი, ჟივიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, მიშა ჭიაურელი, აკაკი ხორავა, გ. დავითაშვილი, ემ. აფხაიძე; კომპოზიტორები: ვიქტორ დოლიძე, ზაქარია ფალიაშვილი; მომღერლები: ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, თამარ წერეთელი, ანნა ორლოვა; მწერლები, პოეტები, პუბლიცისტები: შიო მღვიმელი, კონსტანტინე გამსახურდია („ისე არ გავიდოდა ზაფხული, რომ არ ჩამოსულიყო წაღვერში და არ მოენახულებინა ჩვენი ოჯახი“), იოსებ გრიშაშვილი („მამა მისი ლექსების საღამოებიდან მთელ აღებულ თანხას ... უზოგავდა და უგზავნიდა ყოველთვიურად, რომ სოსოს ერთად არ დაეხარჯა“), მარიჯანი, პაოლო იაშვილი, დავით კოპალი, ლელი ჯაფარიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა ხუსკივაძე, სიმონ ქვარიანი, დარია ახვლედიანი; მხატვარი ოსკარ შმერლინგი (გ-ნი მიხეილი თავად იყო გატაცებული ხატვით); ექიმები: ვანო გომართელი, ვახტანგ მუსხელიშვილი.

გ-ნი მიხეილი პუბლიცისტურ საქმიანობასაც ახერხებდა. მოგვყავს მისი, უმეტესად გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილების მოკლე ჩამონათვალი: „რომელია მართალი“, „გაზაფხული“, „ბრძოლა არსებობისათვის“, „როგორ შეგვიყვარდა ტყე“, „ხანძარი ტყეში“, „დიდი მადლობა“, „წერილი სოფელ იტრიიდან“, „წერილი საგარეჯოდან“, „საჭიროა სკოლა“, „სურამის სამკითხველო“, „სურამელთა გასაჭირი“ და სხვ. ზედმეტია, ალბათ, იმის აღნიშვნა, რომ ყველა მათგანის თემა ტყესთან ან ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ პრობლემებთან არის დაკავშირებული! აი, ზოგი ამონარიდი მისი წერილებიდან: „თუ კაცი არ მიეშველა, ხედავთ, როგორ უჭირს ტყეს თავისით ფეხზე წამოდგომა. ჩვენი ქვეყანა მთიანია, ვაკე ადგილები ცოტა გვაქვს და ის ცოტაც არაფრის მაქნისი იქნება, თუ ჩვენი მთების მკვეთრი ფერდობები მუდმივი ტყით არ იქნება შემოსილი“; „უნდა გავაშენოთ ახალი ტყეები, გადარჩენილს კი კარგად მოვუაროთ, აი, ჩვენი დიდი მოვალეობა სამშობლოს წინაშე“; „ინტელიგენცია მოვალეა, ჩაგონოს ხალხს სკოლის აუცილებელი საჭიროება და ყოველი დაბრკოლება გადალახოს“; „თუ არა ხალხის გამოღვიძებით, სწავლის შეძენის სურვილით, სხვანაირად არ შემიძლიან ავხსნა სურამში სამკითხველოს დაარსება“.

ცხოვრების ამდენი კეთილმოსაგონარი ნამოღვაწარით აღსავსე გზას გ-ნი მიხეილი ღირსეულად და წარმატებით ვერ გაივლიდა, მისი პირადული ცხოვრება რომ არ ყოფილიყო ამ საქმიანობის ხელშემწყობი და მხარდამჭერი. დავიწყოთ იმით, რომ მას ციხე-ბურჯივით გვერდით ედგა მეუღლე – **ბარბალე გულისაშვილი** (დაწყებითი განათლება მას წმ. ნინოს კეთილშობილ ქალთა პანსიონში ჰქონდა მიღებული და გარკვეული დროის მანძილზე, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა), რომელიც საუკეთესო გაგებით ქართველი ქალის სიმბოლოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ: უტეხი სულის, ერთდროულად მკაცრი და მოსიყვარულე დედა, ფრიად გონიერი მეურნე და წინამძღოლი დიდი, 6-შვილიანი (!) ოჯახისა, ვინც ღვთივმომადლებული ნიჭის წყალობით აქცია იგი ქართული ცხოვრებისეული აღზრდის, მამაპაპეული ტრადიციების ერთგულ სკოლად და, რაც საგანგებოდ არის აღსანიშნავი – სტუმართმოყვარეობის სავანედ! მის ყველა ამ თვისებას შეეძინება აღმატებული ხასიათი, თუ გავითვალისწინებთ არა მარტო ტრაგიკული მოვლენებით დაღდასმული 20-30-იანი წლების მშფოთვარე ხასიათს, არამედ იმასაც, რომ გ-ნი მიხეილის ოჯახსაც დაატყო ავგზედითობამ მსახვრალი ხელის კვალი.

მურვანიშვილები ქართლელი, სურამელი აზნაურიშვილები იყვნენ. მათი გვარიდან ყველაზე სახელოვანი - ქაიხოსრო – მეფე ერეკლეს უერთგულესი თანამებრძოლი ყოფილა და „ორმოცდაათზე მეტ ომში გვერდით ახლდა სახელოვან მეფესა და სარდალს“. სწორედ მათ პატივსაცემად დაარქვა გ-მა მიხეილმა თავის პირველ ვაჟს – ქაიხოსრო, მეორეს კი – ირაკლი. ქაიხოსრო სულ ახალგაზრდა – 22 წლისა გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა ტომსკის უნივერსიტეტში სწავლისას, თუმცა ბედმა ოჯახს ეს უბედურება, სამწუხაროდ, არ აკმარა.

ის, რაც ქართველთაგან ყველაზე უშიშარ მეომრებსა და ღირსეულ სახელმწიფო მოღვაწეებს ქვეყნის მსახურებისას საკუთარი სიცოცხლისა და თავდადების ფასად ჰქონდათ

მოპოვებული – თავადისა თუ აზნაურის წოდება – ბევრი მათი შთამომავლისათვის გასაბჭოების მერე უბედურების მომტანი გახდა – დაიწყო კეთილშობილი გვარების წარმომადგენელთა დევნა, მათ შორის – მურვანიშვილების შევიწროებაც, და ეს – მიუხედავად ბ-ნი მიხეილის სიქველისა და გლეხობის მიმართ გამორჩეული ყურადღებისა. მისი ქალიშვილის ქ-ნ ნინოს გადმოცემით – ირაკლის გადაწყვეტილი ჰქონია შეერთებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს და მას საზღვარგარეთ გაჰყოლოდა. დედას ხმა მიუწვდენია მისთვის – ძალზე ავად ვარ და ჩამომაკითხეო. ირაკლის თბილისიდან სურამამდის ტყე-ტყე ფეხით უვლია, მაგრამ მაინც ვერ ასცდენია ხიფათს. ქალბატონი ნინო იგონებდა, თუ როგორ ჩავიდნენ ის და დედამისი ხაშურში ირაკლის ბედის დადგენის იმედით და როგორ იხილეს საკუთარი თვალით დახვრეტილთა სია, რომელიც სწორედ ირაკლით იწყებოდა. ის მაშინ სულ 24 წლისა იყო!

ოჯახმა ღირსეულად გადაიტანა ეს თავზარდამცემი უბედურება და ამის მერეც ბევრი რამ სასიკეთო მოიმოქმედა. ბედმა კი, თითქოს, მოუბოდიშა ვაჟკაცი შვილების დამკარგავთ და ქალიშვილების ღირსეული ოჯახებისა და მოსიყვარულე მონაგარის სახით ერთგვარად მოესალბუნა მათ:

სურათზე ძმებთან ერთად უფროსი ქალიშვილი **ქეთევანია** გამოსახული. მისი მეუღლე დავით შურღაია, ცნობილი იურისტი იყო; ქალიშვილი ციალა – კიდევ უფრო ცნობილი ბავშვთა თვალის ექიმი; სიძე – დავით ყიფიანი – ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგიის არანაკლებ ცნობილი სპეციალისტი, ხოლო შვილიშვილი დავით ყიფიანი (უმცროსი) ერთ-ერთი გამორჩეული იყო ყველა დროის ქართველ ფეხბურთელთა შორის;

– მომდევნო ქალიშვილი – **თამარი** – სპეციალობით ეკონომისტი იყო, მისი მეუღლე ანდრო ნამორაძე – ტექნიკური დარგის სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი – წლების მანძილზე ლექციებს კითხულობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მათი ქალიშვილი მარიამი, ასევე მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიის სპეციალობით;

– **ნინო** – სპეციალობით სტომატოლოგი კი იყო, მაგრამ თითქმის მთელი ცხოვრება ოჯახის კეთილდღეობას მოახმარა. მისი მეუღლე მიხეილ ჯიბუტი პროფესიული განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი გახლდათ და საავიაციო (შემდგომში – მანქანათმშენებლობის) ტექნიკუმის 40-წლიანი დირექტორობის მანძილზე იგი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა აღზრდის სანიმუშო კერად აქცია. მათ სამი შვილი ჰყავდათ: გიული გეოლოგი იყო, ნანას მეტალურგიული აქვს დამთავრებული, მიხეილი - გამოთვლითი ტექნიკის სპეციალისტია და კომპანია „ჰიდროტერმს“ ხელმძღვანელობს.

– **ნათელას** წლების მანძილზე მიჰყავდა ლექციების კურსი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რუსული და ინგლისური ენების სპეციალობით. მისი მეუღლე პავლე ბერიძე ინჟინერი იყო და მთელი თავისი შრომითი საქმიანობით საავიაციო ქარხანასთან იყო დაკავშირებული. მათი ქალიშვილი ქეთევანი – სპეციალობით ფიზიოლოგი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მედიცინის აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი იყო, ხოლო ვაჟი გიორგ აქტიური მონაწილეა არქიტექტურის დარგში მიმდინარე პროცესებისა.

ბ-ნი მიხეილი და ქ-ნი ბარბალე დიდი სანათესაოს მხრიდან მუდამ სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოცულები. ბ-ნი მიხეილი გარდაიცვალა 1959 წელს. „იგი დაკრძალულია მის მიერვე გაშენებულ ტყეში სურამის თავზე და უკვე ტანაყრილი ფიჭვები და ნაძვები, როგორც მარადიულ საპატიო ყარაულში, დგანან მისი საფლავის ირგვლივ“. მისი გარდაცვალების შემდეგ მარტოსულად დარჩენილი ქ-ნი ბარბალე ერთგულად უვლიდა სურამის დიდ სახლსა და ოჯახურ მეურნეობას, არ აპირებდა მათ მიტოვებას და მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში (იგი 97 წლისა გარდაიცვალა) დაიყაბულეს იმაზე, რომ ზამთრის თვეები მაინც გაეტარებინა თბილისში. მე თავად ვარ მომსწრე იმ დიდი სიხარულისა, რაც ყოველ ზამთარს ქალიშვილების ოჯახებში მის მორიგეობით სტუმრობას ახლდა თან.

აი, ასეთი იყო „ვინმე .... **მიხეილი**“, მისი საქმეები, მისი ოჯახი ....

ლოგიკური იქნება თუ წერილს ჩემი მეუღლის ნანა ჯიბუტის სიტყვებით დავამთავრებ: „ეს **კაცი პაპაჩემი იყო!**“ დაკვირვებული მკითხველი უმალ გაიხსენებს, რომ სწორედ ასეთი ქვესათაურით მიეწოდა საზოგადოებას ერთ-ერთი „კვირაძალის საკითხავი“ პეტრე ფარცახაშვილზე.

აი, რა პაპები გვყოლია! აი, რა პაპების შთამომავალნი ვართ!

რაც შეეხება დასაწყისში ნახსენებ წერილს, სამართლიანი იქნებოდა, თუ იგი დაუბრუნდებოდა ადრესატის ოჯახს, სადაც სამუზეუმოდ გამიზნულ სხვა რარიტეტებს შორის საპატიო ადგილს დაიკავებს – ასეთი ნაბიჯი ბ-ნ მიხეილის შთამომავალთა გულწრფელ მადლობას დაიმსახურებს.

და ბოლოს, – იქნებ მოვიცალოთ, როგორც ბ-ნი ანზორ თოთაძე აღნიშნავს, – „...**იმ ადამიანების დაფასებისათვის, რომლებიც ყოველგვარი ხმაურის გარეშე ერთგულად ემსახურებიან სამშობლოს, მისი ტკივილის თანაზიარნი ხდებიან, თანამემამულეებს დახმარების ხელს უწვდიან და საქმით ამტკიცებენ თავიანთ პატრიოტობას**“.

პარადოქსულია, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ, ვინც შვილის დახვრეტით სამარადისოდ მოუშუშებელი ჭრილობა დაუტოვა ბ-ნ მიხეილს, 1975 წელს მისი სახელობის ყოველწლიური პრიზი დააწესა, რომლითაც საუკეთესო პროფესიონალი მეტყევეები ჯილდოვდებოდნენ...

ასეთი იყო მოვლენათა ლოგიკა...

ილამაზ მიწიშვილი.

მწერალი და მკითხველი

რისი შემოთავაზება შეუძლია ჩვენს აჩქარებულ დროებას მწერლისთვის, ვის საიუბილეო თარიღს მისივე წიგნებზე თავდახრილი, ოდენ ერთგული მკითხველის სილუეტი და მზერა ანათებს...

თამაზ ჭილაძე ზუგდიდის გიმნაზიაში

აქ ჩანს არა მარტო მწერლის, არამედ მკითხველის ცალკეული ნაკვთებიც, მადლიერების გამომხატველი სახეც და სულიერი ნათესაობის გამჟღავნების მოლოდინიც....

მხოლოდ ძალიან რჩეულ მწერალთა ხვედრია, მკითხველში გააღვივოს თანდაყოლილი და ლიტერატურით შეძენილი სულიერების ურთიერთშერწყმის შეუდარებელი უნარი. ამიტომ ამჟამად არა ცოცხალ ქართველ კლასიკოსზე, 85 წლის მწერალ **თამაზ ჭილაძეზე** მოგახსენებთ, არამედ მის მკითხველზე, უფრო სწორედ მკითხველთა ერთ ნაწილზე, რომელიც 28 მაისს ქალაქ ზუგდიდში ვნახეთ, მოვუსმინეთ და იმგვარი მუხტი ვიგრძენით, ჩვეულებრივ სიტყვიერ გამოხატულებას რომ არ ექვემდებარება.

როგორც ჩანს, მწერლის პარალელურად არსებობს მკითხველის ღვაწლიც. თვალსაჩინოა კულტურის დარგის ადეპტის, არასამთავრობო ორგანიზაცია **„არტუნივერსალის“** სულისჩამდგმელისა და არტპროექტებზე მუშაობის წარმმართველის **ხატია ჯანაშიას** პერსონა. მისი კრეატიული უნარები, შრომისმოყვარეობა, პიროვნული შარმი, უანგარობა, გამოხატული თუ შეფარული სულისკვეთება არა მარტო ზუგდიდისა და სამეგრელოსთვისაა მნიშვნელოვანი, ამ ახალგაზრდა რომანტიკოსი, წიგნიერი ქალიშვილის მადლიერნი არიან საუკეთესო ქართველი მწერლები, ხელოვანნი, ვის წარდგენასაც ის სხვადასხვა ორიგინალური ფორმით ახერხებს, მათთვის უდიდეს სითბოს გასცემს გონებისა და გულის არგუმენტებით. „არტუნივერსალის“ მორიგი პროექტი – თამაზ ჭილაძის საიუბილეო თარიღი ზუგდიდში, უპირველესად, სხვადასხვა თაობის მკითხველთა გულახდილ დიალოგს გულისხმობდა გიმნაზიასა თუ გალერეაში. აგრეთვე **ოთარ ჭილაძისადმი** მიძღვნილი წიგნი-ალბომის (პროექტის ავტორი ხატია ჯანაშია) პრეზენტაციას.

„მარადიულ სამეოფელთან“ მიახლოება...

საღამოს, ვრცელ დარბაზში, რაფინირებული ზუგდიდელი მაყურებელი ძვირფას სტუმრებს ელოდა: **თამაზ ჭილაძეს, ქალბატონ თინა ჭილაძეს** (ბატონი თამაზის უმცროს დას), **რობერტ სტურუას,** ვისი სახელისა და გვარის ხსენებასაც საზოგადოება ფეხზე ადგომით და განსაკუთრებული ოვაციით შეეგება. საღამო მაღალი პროფესიული ნიშნით მიჰყავდა ზუგდიდელ **მიშიკო ბუაძეს.** სცენაზე წარმოადგინეს ცნობილი და მიზეზთა გამო ძალიან გახმაურებული სპექტაკლის „ნადირობის სეზონის“ (პიესის ავტორი თამაზ ჭილაძე, რეჟისორი რობერტ სტურუა) ცალკეული ფრაგმენტები რუსთაველის აკადემიური თეატრის დასის მსახიობთა მონაწილეობით.

* * *

ისევ მკითხველის თემას დავუბრუნდეთ. ზუგდიდში გავიცანით და ვნახეთ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები,

ხატია ჯანაშია და თამაზ ჭილაძე

რომელთა მწერლობასთან, მწერლის სახელთან ზიარება, მათი სტრიქონების ზეპირი ციტირება განსწავლულობას, პატივისცემას, პიროვნების მთლიანობას გამოხატავს...

ამ შთამბეჭდავი დღის გენერალური სპონსორი გახლდათ **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

ალბომში, რომელიც ოთარ ჭილაძეს ეძღვნება თამაზ ჭილაძის ჩანაწერებია:

„რაც თავი მახსოვს, სულ ერთად ვიყავით, ერთად განვვლეთ ეს უცნაურად ვრცელი, და ამავე დროს, უცნაურად მოკლე ჩვენთვის გამოყოფილი დრო თუ მანძილი, რასაც ჩვეულებისამებრ წუთისოფელს ვეძახდით...

„ერთხელ ცისანა გენძეხაძის სახლში (ცისანა გენძეხაძე ამჟამად ცნობილი ლიტერატორი, ოთარის პირველი შვილის – ზაზას ნათლია) ოთარის პოეზიის თაყვანისმცემლებმა (მათ შორის, მისი მომავალი მეუღლე ნანა თოფაძეც ერია) დაბადებიდან 15 წლისთავის იუბილე გადაუხადეს. მოხსენებებისთვის თემები წინასწარ გაინაწილეს, მაგალითად ნანას ასეთი თემა მოუწია, „მეგობრობა ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში“. დილით „იუბილარ“ „ნავთის ტაქკით“ მოამზრძანეს შინ მთვრალი...

ოთარი ღიმილით იხსენებდა ხოლმე ამ ამბავს, ეს იყო ერთადერთი იუბილე, რომელიც მას ცხოვრებაში გადაუხადეს. და ალბათ სწორედ აქ უნდა ითქვას, რომ ამით დამთავრდა მისი გამოსვლები აუდიტორიის წინაშე. თითქოს დროზე მიხვდა, რა სიმწარეც შეიძლებოდა, მოჰყოლოდა პოპულარობისაკენ ლტოლვას. თითქოს ტანმა უნგრძნო, რა სახიფათო იყო ეს იმისთვის, რის გაკეთებასაც მომავლაში აპირებდა. შეიძლება ითქვას, პოპულარობა ოთარმა, როგორც „საყმაწვილო სენი“ ისე მოიხადა“...

ემპირიულ ზედაპირზე ამოვარდნილი ეგრეთ წოდებული ღონისძიებები მიუღებელი იყო ძმები ჭილაძეებისთვის. დიდ აუდიტორიებთან გაუცხოება, პრესასთან და ტელევიზიებთან განსაკუთრებული დისტანცირება, ზოგჯერ მათი მხრიდან ზედმეტად რადიკალურადაც გამოიყურებოდა. ამიტომაც ფასდაუდებელ მნიშვნელობას ატარებს ბატონი თამაზის ეს შეხვედრა ძვირფას მკითხველთან. მწერლის სილუეტიც და რეპლიკებიც, რომელთა ფირზე აღბეჭდვაც მოვახერხეთ... დოკუმენტურ ფილმს „ზუგდიდური ოდისეის“ შესახებ ერთ თვეში შემოგთავაზებთ „სტუდია ავტოგრაფი“.

ნინო ხოფერია

თამაზ ჭილაძის სიტყვა ზუგდიდელთა წინაშე

ზუგდიდში პირველად თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ ჩამოვედი. მერე კარგა ხნის განმავლობაში ენგური მესიზმრებოდა. თითქოს იდუმალი სამყაროდან გადმოსული საკარნავალო ეტლივით ჩამოატარებდა ხოლმე ჩემთვის ძვირფას აჩრდილებს. ბედნიერი ვიყავი, იმ აჩრდილებში ჩემი წინაპრები რომ ერივნენ. თუნდაც, მე-14 საუკუნეში, ტყვირის ეკლესიის აღმშენებელი ქველი, იტალიელი მისიონერების გადამრჩენი და შემფარებელი შედანი, ლევან დადიანის მეუღლე და თანამოაზრე უჭკვიანესი მზეთუნახავი ნესტან-დარეჯანი. ვამაყობდი ჭაბუკური რომანტიზმით გაბრუებული და დღესაც, როცა მათ მარადიულ სამყოფელს ვუახლოვდები, ვამაყობ ისევ სიჭაბუკის მაცოცხლებელი ინერციით. მე და ჩემს ძმას ყოველთვის გვიზიდავდა ეს ქალაქი, რომელიც საოცარი კინემატოგრაფიული სიზუსტით წარმოგვიდგინა დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ, სწორედ მაშინ, როცა პირველი შთაბეჭდილება სამუდამო ტვიფარივით ემჩნევა ხოლმე ყმაწვილის სულს. მერე და მერე არ შეიძლებოდა საქართველოს უძვირფასესი კუთხისკენ, აფხაზეთისკენ მიმავალნი, ცოტა ხნით მაინც არ შევჩერებულიყავით, არ შევხვედროდით იმ მიწას, საიდანაც ყველა ქართველს ჩვენი ცის, ვარსკვლავების, ზღვისა და მდინარეების შემოქმედის გულისფეთქვა ესმის. ჩვენი ერის მარადიული მებრძოლი ილია ჭავჭავაძე ამბობდა: სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო ვნახეო. ბოლოს და ბოლოს საქართველომ ეგრისში აიდგა ფეხი, რასაც ხალხის მოუსყიდველი მსაჯული ისტორია ადასტურებს. უამრავი რამის გახსენება შეიძლება, რაც ამ მხარეს არა მარტო მიმზიდველს, არამედ განსაკუთრებით მნიშვნელოვანს და ძვირფასს ხდის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის თავად ხალხის ცხოველმყოფელი ნიჭიერება, ერთი წუთით რომ დავივიწყოთ ცოტნე დადიანის გმირობა, მეგრული სიმღერის საკვირველი, მე ვიტყოდი, გააადამიანებული სევდა თუ კაეშანი, ერთი წუთით დავივიწყოთ ამ კუთხის შვილთა სახელები, რომლებითაც ყველა ხალხი იამაყებდა... დღევანდელ დღეს, როცა თითქმის მთელი მსოფლიო მატერიალურ კრიზისს უჩივის, როცა ცივილიზაცია ბუნებას სიქალწულესთან ერთად, ჩვენი დაპურების უნარსაც ართმევს, იქნებ გაგვეხსენებინა ლეგენდარული ძიკი კვარაცხელია, მისი ჯოგი, მის მიერ გამოყვანილი საქონლის უნიკალური ჯიში, რაც ღრმად ვარ დარწმუნებული, შვეიცარიასაც კი შეშურდებოდა. მადლობელი ვარ, რომ ამისრულეთ დიდი ხნის ნატვრა. მადლობელი ვარ, რომ თქვენს შორის ვიმყოფები. მადლობელი ვარ ღმერთის, რომ ნაწამებ, მაგრამ უკვდავ საქართველოში გამაჩინა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი კობახიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი კობახიძე (პ/ნ 01008014545), თბილისი, სერგო ზაქარიაძის ქ. №11, ბინა №8;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, სერგო ზაქარიაძის ქ. №11, ბინა №8, 71.43კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.10.15.002.002.01.008).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 68784.82 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 20 ივნისი, 11:15 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** გიორგი კობახიძე (პ/ნ 01008014545), თბილისი, ს. ზაქარიაძის ქ. №11, ბინა №8;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 20 ივნისის 11:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლ-დინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს ლაშა სიორდიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლაშა სიორდია (პ/ნ 42001038058), ფოთი, ნ. ვაჩნაძის ქ. 27, ბინა №8; ფოთი, ილიას ქ. №47.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ფოთი, ილიას ქ. №47 (საკადასტრო კოდი: 04.01.12.010).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10028.21 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 4 ივნისი, 12:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 20 ივნისი, 13:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP30773316;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 307733
6. **მოვალე:** მერაბ სიორდია (პ/ნ 42001002789), ფოთი, ნ. ვაჩნაძის ქ. 27, ბინა №8; ფოთი, ილიას ქ. №47;
მიხეილ სიორდია (პ/ნ 42001038038), ფოთი, ნ. ვაჩნაძის ქ. 27, ბინა №8; ფოთი, ილიას ქ. №47.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (ganacxadis №71271HZP30773316; ლოტის ნომერი: 307733).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 20 ივნისის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლ-დინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მზია გიორგაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მზია გიორგაძე (პ/ნ 37001035862), სამტრედია, გალაკტიონის ქ. №8;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
სამტრედია, გალაკტიონის ქ. №8, 651.00კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა 296.79კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 34.08.65.124).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 12275,83 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 20 ივნისი, 11:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** მზია გიორგაძე (პ/ნ 37001035862), სამტრედია, გალაკტიონის ქ. №8;
ზაზა გიორგაძე (პ/ნ 37001011601), სამტრედია, გალაკტიონის ქ. №15;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 20 ივნისის 11:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლ-დინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დავით ხონელიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით ხონელიძე (პ/ნ 53001059584), წყალტუბო, ს. ოფშკვითი მე-18 ქ. №1.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
წყალტუბო, ს. ოფშკვითი (საკადასტრო კოდი: 29.16.34.311).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18985.99 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 4 ივნისი, 12:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 20 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP30774516;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 307745
6. **მოვალე:** რამინ ხონელიძე (პ/ნ 53001013393), წყალტუბო, ს. ოფშკვითი მე-18 ქ. №1;
ინგა ხონელიძე (პ/ნ 53001013394), წყალტუბო, ს. ოფშკვითი მე-18 ქ. №1;
მალხაზ ჭელიძე (პ/ნ 60003011314), ქუთაისი, ძნელაძის ქ. №6.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP30774516; ლოტის ნომერი: 307745).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 20 ივნისის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დავით ცხადაიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით ცხადაია (პ/ნ 42001018062), ფოთი, მარჯანიშვილის 90.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, სამეგრელოს ქ. 26, სართული 4, ბინა №37 (საკადასტრო კოდი: 04.01.04.027.01.037).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19181.68 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 4 ივნისი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 20 ივნისი, 14:30 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP30780716;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 307807

6. **მოვალე:** დავით ცხადაია (პ/ნ 42001018062), ფოთი, მარჯანიშვილის 90;
ბონდო ცხადაია (პ/ნ 42001025338), ფოთი, მარჯანიშვილის 90.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP30780716; ლოტის ნომერი: 307807).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 20 ივნისის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „გირო კრედიტის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გულნაზ მამუკელაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გულნაზ მამუკელაშვილი (პ/ნ 59001064546), ქ. გორი, გორკის ქ. №153;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. გორი, გორკის ქ. №153, შენობის საერთო ფართობიდან 217.53კვ.მ., სარდაფის ფართობი 18.5კვ.მ., აივანი 47.09კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 66.45.23.182).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 40046,52 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 20 ივნისი, 13:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** გულნაზ მამუკელაშვილი (პ/ნ 59001064546), ქ. გორი, გორკის ქ. №153;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „გირო კრედიტი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 20 ივნისის 13:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ოთარ სირაძის, ვლადიმერ სირაძის და თათია სირაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ოთარ სირაძე (პ/ნ 33001070556), ვლადიმერ სირაძე (პ/ნ 33001062434) და თათია სირაძე (პ/ნ 33001074905), ოზურგეთი, სოფელი ვაკიჯვარი.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ოზურგეთი, სოფელი ვაკიჯვარი (საკადასტრო კოდი: 26.21.15.069).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 5387.11 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 4 ივნისი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 20 ივნისი, 13:30 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP30773916;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 307739

6. **მოვალე:** ოთარ სირაძე (პ/ნ 33001070556), ოზურგეთი, სოფელი ვაკიჯვარი.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP30773916; ლოტის ნომერი: 307739).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 20 ივნისის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

თბილისში რაგბის სუპერკომპლექსი გაიხსნება

მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით საძირკველში სიმბოლური კაფსულა გუშინ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრთან ტარიელ ხეჩიკაშვილთან და სამშენებლო კომპანია „საბა კონსტრაქშენის“ დირექტორთან ერთად ჩადო.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რაგბის სავარჯიშო კომპლექსი გლდანის რაიონში, 4 ჰა ტერიტორიაზე აშენდება. კომპლექსში ოთხი მოედანი განლაგდება : ერთი ბუნებრივსაფარიანი, ორი ხელოვნური და ერთიც ქვიშის. მოეწყობა სავარჯიშო დარბაზი, რომელიც სპორტული ინვენტარით, საშხაპეებითა და გასახდელით აღიჭურვება. პროექტი 1000 გულშემატკივარზე გათვლილ ტრიბუნასა და 100 მანქანაზე გათვლილ საპარკინგე ზონას ითვალისწინებს.

„გამომდინარე იქიდან, რომ რაგბიში ძალიან სერიოზული წარმატებები გვაქვს და მომავალშიც არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას ველოდებით, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მუხიანში, ჩვენი მომავალი თაობისთვის, რომელმაც აქტიურად უნდა ითამაშოს და გვასახელოს, გავაკეთოთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბაზა, რომელიც გათვლილი იქნება იმაზე, რომ მოზარდებიც მოემზადებიან და, გარდა ამისა, აქ იქნება საერთაშორისო სტანდარტების მოედანი, სადაც მომდევნო წლის მსოფლიო ახალგაზრდული რაგბის თამაშების ერთი ნაწილი გაიმართება. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომელსაც ჩვენ განვახორციელებთ მომდევნო წლამდე, 6 მლნ ლარზე მეტს დავხარჯავთ იმისათვის, რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სარაგბო ბაზა გვქონდეს,“ – განაცხადა დავით ნარმანიამ. რაგბის სავარჯიშო კომპლექსს შპს „საბა კონსტრაქშენი“ აშენებს და სამუშაოები 2017 წლის თებერვალში დასრულდება. მშენებლობისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 6 302 500 ლარი დაიხარჯება. აღსანიშნავია, რომ მომავალ წელს საქართველო 20 წლამდე მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომლის ფარგლებშიც რაგბის ახალ სტადიონზე შეხვედრები გაიმართება.

ახალი მოდერნიზებული ვაგონები

თბილისის მეტროს სავაგონე პარკს შეემატა მოდერნიზებული ვაგონების (4 ვაგონი) ახალი შემადგენლობა. ეს შემადგენლობა ყოველდღიურად მოემსახურება მგზავრებს და უფრო მეტად კომფორტულს და უსაფრთხოს გახდის თბილისის მეტროთი მგზავრობას. ვაგონების მოდერნიზაცია მოიცავს, როგორც კაპიტალური შეკეთების მოცულობით გათვალისწინებულ სამუშაოებს, ასევე თანამედროვე სისტემების ინსტალაციებს, მთლიანად შეიცვალა ვაგონის ინტერიერი, ექსტერიერს მიეცა თანამედროვე სახე, ძველი სანათები ახლი შუქდიოდური სანათებით ჩანაცვლდა, მემანქანის კაბინა აღიჭურვა თანამედროვე ტიპის მართვის პულტით. ასევე უსაფრთხოების გაზრდის მიზნით აღნიშნული შემადგენლობა აღიჭურვა - მემანქანის ბაქნის საკონტროლო კამერებით შემადგენლობის ორივე მხრიდან, თითოეულ ვაგონში დამონტაჟდა ორი შიდა დაკვირვების კამერა და ოთხი მონიტორი.

თბილისის მეტროს სავაგონე პარკის განახლება და მოდერნიზება მომავალშიც გაგრძელდება, კერძოდ 2016 წელს დაგეგმილია კიდე 8 ვაგონის რემონტი.

შავი ხვრელი კეზერაშვილისთვის...

იარაღის შესყიდვა კორუფციული და კრიმინალური გარიგებების საფუძველზე!..

„2008 წელს ნამდვილად დაიძაბა ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობა, იმიტომ, რომ თანხების გადახდაზე იყო პრობლემა. ჩემი ინფორმაციით ისრაელის მხარემ 2008 წლის ომის დროს, ან შეიძლება მანამდეც, რუსეთთან გარკვეული გარიგება დადო“, – აცხადებს „სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის, საქართველოს ცენტრის“ თავმჯდომარე, ბესიკ ალადაშვილი, რომლის განცხადებით, ასეთი საქმეების გამოძიება ექვემდებარება პოლიტიკურ კლიმატს. შესაბამისად, უნდა დაველოდოთ გამოძიებას.

დღეს ბესიკ ალადაშვილი გვესაუბრება.

– 2008 წლიდან დავით კეზერაშვილის სახელი ჩნდება იარაღის უკანონო ბიზნესში და სწორედ, კეზერაშვილთან კორუფციული გარიგების საქმეზე, ისრაელში ქვეყნის თავდაცვის ძალების ყოფილი ოფიცერი დაკითხეს, რომელიც ეჭვმიტანილია კორუფციასა და ფულის გათეთრებაში. როგორც წესი ამ ბიზნესში ყველა მსურველი ვერ ჩაერთვება, სახელმწიფოს და სპეცსამსახურების როლი როგორია ამ ბიზნესში?

– იარაღის ბიზნესი მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანია, მაგრამ ამავე დროს ყველაზე კრიმინალური ბიზნესია. აქ ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი იმიტომ, რომ თვითონ იარაღი არ არის ჩვეულებრივი საქონელი და როგორც წესი, იარაღის ბიზნესი სახელმწიფოს მიერ კონტროლდება. ჩვეულებრივ იარაღის მწარმოებელი ფირმები, რომლებიც შეიძლება კერძო სუბიექტები იყვნენ, მაგრამ მათი საგარეო ორიენტირები, თუნდაც ექსპორტი ან იმპორტი სახელმწიფოს მიერ რეგულირდება. მაგრამ აქ ძალზედ ხშირია კორუფციული გარიგებები, რომელშიც ჩართულია ხელისუფლება. კერძოდ კი, რამდენიმე მწარმოებელი ცდილობს, შევიდეს მომგებიან ბაზარზე. ძირითადად ეს არის არაბული ქვეყნები, ან განვითარებადი ქვეყნები როგორიც საქართველოა. სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ შევარდნაძის დროს და მერეც, იარაღის შესყიდვა, უკანონო გარიგებები და იარაღის მიმწოდებლის შერჩევა ხდებოდა არა ფასის, არამედ კორუფციული და კრიმინალური გარიგებების საფუძველზე.

– საქართველოს შემთხვევაში როგორი იყო კორუფციული გარიგების სქემა?

– იარაღის უკანონო ბიზნესში დავით კეზერაშვილის მონაწილეობაზე ინფორმაცია ცნობილი იყო 2011 წელს, ანუ, მას შემდეგ რაც კეზერაშვილი უკვე არ იყო თავდაცვის მინისტრი. არ ვიცი, როდესაც კეზერაშვილი დაკავებული იყო საფრანგეთში, წარუდგინა თუ არა ფრანგულ მხარეს ჩვენმა პროკურატურამ ეს ინფორმაცია. წესით საფრანგეთის სასამართლოს ეს ინფორმაცია უნდა ჰქონოდა. კეზერაშვილზე ინტერპოლით იყო ძებნა გამოცხადებული, მაგრამ სულ ახალხანს ძებნა შეწყდა. ჩნდება ლოგიკური კითხვა, ინფორმაცია, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ჰქონდა თუ არა ინტერპოლს და საფრანგეთის სასამართლოს?

– დავით კეზერაშვილის ადვოკატი აცხადებს, რომ იარაღით ვაჭრობის საქმეზე კეზერაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის. შესაბამისად, საფრანგეთის სასამართლოს ვერ ექნებოდა ეს ინფორმაცია...

– გასაგებია. მაშინ რას ვერჩით ინტერპოლს, რომელმაც საერთაშორისო ძებნა შეწყვიტა და საფრანგეთის სასამართლოს, რომელმაც გაანთავისუფლა კეზერაშვილი, თუკი ჩვენმა პროკურატურამ სწორად არ მოახდინა საქმის ფორმულირება? ძირითადი ბრალდება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე იყო აგებული და არა იარაღის უკანონო ბიზნესზე. სამწუხაროდ, უფრო სერიოზულად არის საქმე. ვხედავთ გარკვეულ შეცდომას, ან გარიგებას, რაც ორივე დანაშაულია.

– ეს კრიმინალური ბიზნესი სახელმწიფოს დონეზე იყო აყვანილი. ის, რომ ეს საქმე არ მოხვდა კეზერაშვილის სისხლის სამართლის საქმეში, განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფო იყო ამ ბიზნესში ჩართული?

– როცა ვამბობ სახელმწიფოს, ვგულისხმობ „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდს. სხვათა შორის კეზერაშვილამდე ერთ-ერთი ძირითადი ექსპორტიორი ქვეყანა იყო უკარაინა. სამწუხაროდ, უახარისხო ტექნიკის შემოტანის ბრალდებით დააკავეს ქართველი ოფიცრები, თუმცა სასამართლომ ისინი უდანაშაულოდ სცნო და გაანთავისუფლა. სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს, როდესაც თავდაცვის ბიუჯეტი მილიარდს აღემატებოდა, არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ სახელმწიფოს კონტროლის გარეშე ხდებოდა იარაღის შეძენა.

ირაკლი კაკაბაძე ღიად ადებდა ამ ოთხეულს ხელს (კეზერაშვილი, სააკაშვილი, ალასანიები)... უნდა ითქვას, რომ იარაღის ვაჭრობის სქემამ საქართველოში ფეხი 2005 წელს მოიკიდა და ეს სქემა გაუმჭვირვალე იყო. პირადად მე 2004-2005 წლებში გარკვეული წვდომა მქონდა ამ ინფორმაციასთან, რასაც მაშინ „ქართული არმიის“ განვითარების ფონდი აფინანსებდა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მიერ იყო დაარსებული. „ქართული არმიის“ განვითარების საქმეში მას დიდი წვლილი მიუძღვნის.

– ხელისუფლების უმაღლესი პირები არ იყვნენ საქმის კურსში?

– კი, რა თქმა უნდა. სახელმწიფოს უმაღლესი პირები – პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი და შემდეგ ის, ვინც ნაციონალების დროს წარმართავდა ასეთ საქმეებს, მათ გარეშე ასეთი ბიზნესის წარმოება შეუძლებელია და ბუნებრივია, რომ ისინი საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენებას არ მისცემენ. ვფიქრობ, რომ პროკურატურის მიერ თავიდან არის ამ საქმის გამოძიება დასაწყები და მოწმეები დასაკითხი.

თუმცა, საკმაოდ პესიმისტურად ვარ განწყობილი, რადგან უკვე დიდი დროა გასული და როგორც ჩანს, არც საერთაშორისო დონეზეა ეს საქმე აყვანილი. ვერ ვხედავ ჩვენი პარტნიორების დაინტერესებას, განსაკუთრებით კი ამერიკელების. გვახსოვს იარაღით მოვაჭრე რუსეთის მოქალაქე, ცნობილი ვიქტორ ბუკი მალაიზიაში დააკავეს და ამერიკის სასამართლომ 25 წელი მიუსაჯა. ასე რომ, ჩვენს პარტნიორებსაც არა აქვთ პოლიტიკური ნება, რომ ამ საქმეს ნათელი მოეფინოს.

თუმცა, ფაქტია, რომ 2009 წელს საქართველოში გასაიდუმლოებული ვიზიტით ჩამოსული იყვნენ ფედერალური ბიუროს წარმომადგენლები. მათ ხელისუფლებას მოსთხოვეს ამ საქმის გამოძიება, რადგან უკვე ჰქონდათ ინფორმაცია კეზერაშვილის შესახებ. იარაღი, რომელსაც საქართველო აშშ-დან იღებდა, საქართველოდან ახლო აღმოსავლეთში ხვდებოდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რისთვისაც თეთრმა სახლმა უარი თქვა „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერაზე...

– გასაგებია, მაგრამ განაწყენებამ გადაუარათ, რადგან ამერკის მხარდაჭერა 2012 წლის ბოლომდე ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“. ამერიკელი კონგრესმენები დღესაც გადაფარებული არიან ნაციონალებს. მათ შეეძლოთ, რომ უფრო მკაცრი და სამართლიანი ყოფილიყო მათი რეაგირება, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

– ამ ბიზნესში კეზერაშვილთან ერთად ფიგურირებდა თემურ ალასანია და მისი შვილი, ნიკა ალასანია. მაგრამ რამდენად დიდი იყო სააკაშვილის როლი?

– იცით, რომ ირაკლი კაკაბაძე ღიად ადებდა ამ ოთხეულს ხელს (კეზერაშვილი, სააკაშვილი, ალასანიები)... უნდა ითქვას, რომ იარაღის ვაჭრობის სქემამ საქართველოში ფეხი 2005 წელს მოიკიდა და ეს სქემა გაუმჭვირვალე იყო. პირადად მე 2004–2005 წლებში გარკვეული წვდომა მქონდა ამ ინფორმაციასთან, რასაც მაშინ „ქართული არმიის“ განვითარების ფონდი აფინანსებდა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მიერ იყო დაარსებული. „ქართული არმიის“ განვითარების საქმეში მას დიდი წვლილი მიუძღვნის.

მაგრამ 2005 წლის ბოლოს ეს ფონდი გააუქმეს და თავდაცვის სამინისტრო და მაშინდელი ხელმძღვანელობა ერთპიროვნულად ატარებდა შესყიდვის ოპერაციებს. ვერ გეტყვით რამდენად იყვნენ სააკაშვილი ან ხელისუფლების სხვა პირველი პირები საქმის კურსში, მაგრამ თავდაცვის მინისტრის გარეშე ეს ვერ მოხდებოდა.

– 2008 წელს რუსეთს საშუალება მიეცა ხელში ჩაეგდო ის სამხედრო ტექნოლოგიები, რომელიც ებრაელებმა გადასცეს საქართველოს და ებრაული მხარე კეზერაშვილს ადანაშაულებდა, რასაც მოჰყვა კიდევაც ებრაული მხარის დემარში. არსებობს ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ ქრთამს აძლევდა კეზერაშვილს, შესაძლებელია, რომ ებრაულმა მხარემ კეზერაშვილის წინააღმდეგ აღძრას სისხლის სამართლის საქმე, მით უმეტეს, რომ ის ისრაელის მოქალაქეა?

– რაც შეეხება ისრაელის შეიარაღებას, საუბარია უპილოტო თვითმფრინავებზე. 2008 წელს ნამდვილად დაიძაბა ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობა იმიტომ, რომ თანხების გადახდაზე იყო პრობლემა. ჩემი ინფორმაციით ისრაელის მხარემ 2008 წლის ომის დროს, ან შეიძლება მანამდეც, რუსეთთან გარკვეული გარიგება დადო.

– რას ეხებოდა გარიგება?

– გარკვეული საიდუმლო ინფორმაცია გადასცა ჩვენს შესახებ რუსეთს. იარაღის უკანონო ვაჭრობის შესახებ ინფორმაცია ისრაელის ხელისუფლებას მანამდეც ჰქონდა. პოლიტიკური კლიმატი სწრაფად იცვლება და სამწუხაროდ, ხშირად ასეთი საქმეები ექვემდებარება პოლიტიკურ კლიმატს და ამიტომ წინასწარ ვერაფერს ვიტყვით. დაველოდოთ გამოძიებას.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

საქართველოს ყველა საერთაშორისო აეროპორტებში მგზავრთა ნაკადი მატულობს

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების მიერ გავრცელებულ სტატისტიკურ ინფორმაციაშია აღნიშნული, რომელიც თავის მხრივ, იანვარ-მაისის პერიოდს მოიცავს, 5 თვის განმავლობაში მესტიის აეროპორტი 1197 მგზავრს მოემსახურა, რაც 2015 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 17%-იან ზრდას შეადგენს.

* * *

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 2015 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 20%-ით გაიზარდა და მთლიანობაში 703310 მგზავრი შეადგინა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მარტიდან თეირანის მიმართულებით ფრენების შესრულება ორმა ირანულმა ავიაკომპანიამ „ატა ეარლაინსმა“ და „ქეშმ ეარმა“ დაიწყო, ხოლო ივნისიდან თელავივის მიმართულებით ფრენებს კიდევ ერთი ახალი ავიაკომპანია „ელ-ალი ისრაელის ავიახაზები“ შეასრულებს. ივნისის ბოლოდან რეგულარული ჩარტერული რეისების შესრულებას თეირანისა და ისპაჰანის მიმართულებით „ტაბან ეარლაინსი“ დაიწყებს.

* * *

ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ხუთ თვეში 73,851 მგზავრს მოემსახურა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზრდა 20 %-ია..

27 მაისიდან „უკრაინის საერთაშორისო ავიახაზებმა“ ქუთაისიდან კიევის მიმართულებით კვირაში სამის ნაცვლად ოთხი სიხშირით დაიწყო ფრენების შესრულება, ხოლო 4 ივნისიდან ფრენები კიევის მიმართულებით ყოველდღიურად შესრულდება.

ასევე, 10 მარტიდან ნატახტარის აეროდრომიდან ქუთაისის მიმართულებით, კვირაში ორი სიხშირით რეგულარულ ფრენებს ასრულებს ავიაკომპანია „სერვისეარი“. ამავე ავიაკომპანიამ რეგულარული ავიარეისების განხორციელება ქუთაისიდან

მესტიის მიმართულებით კვირაში ორი სიხშირით დაიწყო“, აცხადებენ საქართველოს აეროპორტების გაერთიანებაში.

* * *

ბათუმის ალექსანდრე ქართველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტს მგზავრთნაკადი 32 %-ით გაეზარდა. 2016 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 32%-ით გაიზარდა და სულ 54429 მგზავრი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში „ურალის ავიახაზებმა“ ბათუმის აეროპორტიდან ორი ახალი მიმართულებით ეკატერინბურგსა და სანკტ-პეტერბურგში ფრენების შესრულება კვირაში 2 სიხშირით დაიწყო.

ასევე, 2016 წლის ზაფხულის სეზონზე, ბათუმის მიმართულებით, 2 ახალი ავიაკომპანია „ეარ არაბია“ და „ელ-ალ ისრაელის ავიახაზები“ დაიწყებს ოპერირებას, რომლებიც ფრენებს შარჟასა და თელ-ავივის მიმართულებით განახორციელებენ.

მთლიანობაში ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან 2016 წლის ზაფხულის სეზონზე რეგულარულ რეისებს 11 ავიაკომპანია 12 სხვადასხვა მიმართულებით შეასრულებს.

აღსანიშნავია, რომ იანვარ-მაისში საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებში გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა 21 %-ით გაიზარდა.

სულიერება

დღესასწაულია 5 ივნისს მოციქულთა სწორთა მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი ხსენება წმიდისა მოციქულისა სწორისა ნინოსი და განათლება ქართველთა.

დღესვე არის ბრმის კვირიაკე.

ღირსისა დამიანესი, მეფეყოფილისა დემეტრესი, გარეჯელისა, „შენ ხარ ვენახის“ მთქმელისა

5 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს დამიანეს (დემეტრე). ის იყო ძე კეთილმსახურისა მეფისა დავით აღმაშენებლისა.

საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებელი თავის ძეზე ასე ამბობდა: **„სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვანებითა და სიმხნითა უმჯობეს არს ჩემსა“**.

ჯერ კიდევ აღმაშენებლის მეფობისას მოიხვეჭა დემეტრემ სახელი და დიდება, მისი მეფობის დროს აღორძინდა ჰერეთი, სომხეთი, ტაშირი, ჯავახეთი...

დავით გარეჯის უდაბნოში აღკვეცილმა მეფემ შთამომავლობას ჰიმნოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშები დაუტოვა. ჩვენამდე მიღწეული იამბიკოებიდან განსაკუთრებით ცნობილია შესხმა ღვთისმშობლისა — **„შენ ხარ ვენახი“**.

ნიშანდობლივია, რომ დემეტრეს ფრესკა გარეჯის მონასტრის კედელზე ყოფილა გამოხატული ჯერ კიდევ გასულ საუკუნემდე, შემდეგ კი დრო-ჟამს იავარუყვია იგი... კეთილმსახური მეფის ფრესკა მაცხვარიშის (ლატალი) ეკლესიის მხატვრობამ შემოგვინახა.

გიული ლიპარტია

მილოცვა

უფლისგან დალოცვილი ხარ, სხვა უკეთესი რა არის!



დავით გოგორიშვილი – 65

ძვირფასო დათუნა, მხურვალედ გილოცავთ საიუბილეო დაბადების დღეს, რომელიც მთელი ჩვენი სანათესაოსა და საძმო-სამეგობროს დღესასწაულიცაა.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, გახარებული ყოფილიყავით ბედნიერი ცხოვრებით და სილაღით, რადგან თქვენი კაცური კაცობა ყოველივე ამას ჭეშმარიტად და ალალად იმსახურებს.

გული ვანისკენ მიგიწევს
ჭიათურისკენ ფიქრები,
ასი წელიც, რომ იცოცხლო,
მუდამ ასეთი იქნები.
გიყვარს სამშოლო ცოლ-შვილი,
საძმოსთვის მარად ირჯები,
მწამს ამას დაგიფასებენ,
რძალიც და შვილიშვილებიც.
დაბადების დღეს გილოცავთ
მაგ შენი ნაამაგარით.
უფლისგან დალოცვილი ხარ,
სხვა უკეთესი რა არის!

ღრმა პატივისცემით,
ალეკო კაკულია
ოჯახით.

ოლიმპიური ჩემპიონი

ზაფხულის XXI ოლიმპიური თამაშები 1976 წლის 17 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით მონრეალში (კანადა) გაიმართა. პაექრობებში 92 ქვეყნის 6028 სპორტსმენი (მათ შორის — 1247 ქალი) მონაწილეობდა. თამაშებში საქართველოდან 11-მა სპორტსმენმა იასპარეზა, რომლებმაც 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონი მეორედ გახდა ლევან თედიაშვილი, რომელიც მონრეალის თამაშების საუკეთესო ფალავნად აღიარეს. მესამედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სამმხტომელი ვიქტორ სანეევი, ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ხელბურთელმა ვაჟებმა, რომელთა შორის იყო თბილისელი ალექსანდრე ანპილოგოვი. ძიუდოისტმა რამაზ ხარშილაძემ მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა, ხოლო შოთა ჩოჩიშვილი (ძიუდო) და მიხეილ ქორქია (კალათბურთი) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

ალექსანდრე ანპილოგოვი:
ყველგან და ყოველთვის საქართველოს „მარკას“ ვიცავდი

გასული საუკუნის 60-იან წლებში ხელბურთი მეტეორივით შემოიჭრა საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში და გულშემატკივართა გულებიც მოინადირა. დასაწყისშივე თბილისის „ბურევესტნიკი“ საკავშირო ჩემპიონატების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ორჯერ ავიდა. შინ და გარეთ ქომაგებს ხიბლავდა ჯემალ ცერცვაძის, თამაზ ანთაძის, ჯემალ აბაიშვილის, იმედო ფხაკაძისა და სხვა ქართველი ხელბურთის დიდოსტატების ვირტუოზული თამაში. 70-80-იან წლებში ჩვენი ქვეყნის სახელი უფრო შორს გაიტანა თბილისის „ბურევესტნიკის“ წევრმა, სპორტის დაიმსახურებულმა ოსტატმა ალექსანდრე ანპილოგოვმა, რომელმაც 1976 წელს მონრეალში ოლიმპიური ოქროს მედალი დაიმსახურა, 1980 წელს კი მოსკოვის თამაშების ვერცხლის მედალი ერგო (ოლიმპიადების 12 მატჩში 42 გოლი გაიტანა). საკავშირო თასის მფლობელმა (1978), საბჭოთა კავშირის ხალხთა 1975 წლის სპარტაკიადისა და საკავშირო ჩემპიონატების სამგზის (1977, 1980, 1981) ბრინჯაოს პრიზიორმა 1982 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო 1978 წელს მეორე ადგილი დაიკავა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იგი გერმანიაში ცხოვრობს.



— პატარაობისას სუსტი და ავადმყოფი ბავშვი ვიყავი, თუმცა, სიმაღლეში სწრაფად ვიზრდებოდი, — გაიხსენა ერთხელ ჩემთან საუბრისას ბავშვობის წლები ოლიმპიურმა ჩემპიონმა. — აბა, როგორი შესახედავი ვიქნებოდი 194 სანტიმეტრის სიმაღლის 46 კილო ბიჭი. ჩემი უფროსი და რაისა ხელბურთს თამაშობდა, ფიზიკურად ძლიერი იყო და მშურდა მისი. გადავწყვიტე, მეც დავმსგავსებოდი. ერთ დღეს მე და ჩემი ორი მეგობარი გარი მაჭავარიანთან მივედით ხელბურთის სექციაში ჩასაწერად. მწვრთნელმა ისინი მიიღო, მე კი უარი მითხრა, რადგან სამედიცინო ცნობა არ მქონდა. ვიჯექი ტრიბუნაზე და ვტიროდი. ბატონ გარის შევეცოდე და მოედანზე მიხმო. იმ დღიდან ხელბურთისთვის არ მიღალატია.

— რთული იყო გზა დიდი სპორტისკენ?

— 1970 წელს, სკოლას რომ ვამთავრებდი, მოსწავლეთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოვიპოვე. 16 წლისა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი. „ბურევესტნიკში“ კი მიმიწვიეს, მაგრამ, ეტყობა, მწვრთნელებს ბევრი ვერაფრით მოვაწონე თავი, ჩემი სიმაღლის მიუხედავად. არადა, უკვე 205 სანტიმეტრისა ვიყავი. იმ ზაფხულს ჩემმა მოკრივე ბიძაშვილმა ზღვაზე წამიყვანა. ქანცის გამოცლამდე ვვარჯიშობდით, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ზღვაში ქვებს ვინ უფრო შორს გადააგდებდა. თბილისში რომ დავბრუნდი, გუნდთან ერთად სპორტის სასახლეს მივაშურე. ყურადღებას არავინ მაქცევდა. ეტყობა, ჩემზე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული. მოედნის ცენტრთან რამდენიმე ბურთი ეგდო. ერთ-ერთს დავწვდი და კარისკენ დავარტყი. ავაცილე. მერე მეორედ ვცადე, მესამედ. უცებ ჩემი ყურადღება დარბაზში ჩამოვარდნილმა სიჩუმემ მიიპყრო. მოვიხედე — ყველა მე მიყურებდა. ერთ-ერთი მწვრთნელი მომიახლოვდა და მთხოვა, კიდევ ერთხელ გამეგზავნა ბურთი კარისკენ. არ დამიხანებია. მაშინ ვიგრძენი, რომ მე სხვა საშა ანპილოგოვი ვიყავი.

— საკავშირო ნაკრებში როგორ მოხვდით?

— 1975 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ზაპოროჟიეში შევიკრიბეთ. ერთ საღამოს საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელებმა სხდომა ჩაატარეს და გუნდის წევრად არმიელთა რიგებიდან ჟენია ჩერნიშევი დაასახელეს. მაშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ მწვრთნელმა იმედო ფხაკაძემ ნაკრების მესვეურებს ჩემი კანდიდატურა შესთავაზა. დარბაზმა გადაიხარხარა. შემრცხვა და სასწრაფოდ დავტოვე იქაურობა. ბატონი იმედო გამომყვა — როგორც საჭიროა, იმუშავებ და აი, ნახავ, ნაკრების წევრიც გახდებიო, მითხრა. მერე ლესელიძეში შეკრებისას, ზღვის სანაპიროზე, ვინ იცის, ჩემი მწვრთნელი რამდენი მიტარებია მხრებით, ვიქტორ სანეევი რბენას და ხტომას მასწავლიდა. „ფიზიკაში“ საკმაოდ მოვუმატე. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დავიკავეთ. ტურნირის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს. მერე თბილისში ტრადიციულ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე შედეგიანობით მეორე ვიყავი. ამ შეჯიბრების შემდეგ საკავშირო ნაკრებში მიხმეს.

— დებიუტანტებს გუნდში ხელგაშლით არ ხვდებიან. თქვენ როგორ მიგიღეს?

— ყველგან და ყოველთვის საქართველოს „მარკას“ ვიცავდი. პირველი შეკრებისას იყო მცდელობა, როგორც ყველა ახალწვეულისთვის, ჩემთვისაც „ფიცი“ მიეღებინებინათ. ოთახში რომ შემოვიდნენ, წყლით სავსე „გრაფინს“ დავწვდი და გავაფრთხილე — არ მომიახლოვდეთ, მისი სროლა ბურთზე ნაკლებად არ მეხერხებამეთქი. ერთმანეთს გადახედეს, ამ ქართველს შევეშვათო, თქვეს და ოთახი დატოვეს. მსგავსი რამ მერე აღარ განმეორებულა.

— და ასე მოხვდით მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე...

— პირველ ორი მატჩში იოლად ვაჯობეთ იაპონიას — 26:16 და კანადას — 25:9. იუგოსლავებთანაც წარმატების იმედით გავედით მოედანზე. ალბათ, ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალიც იყო, რომ ორი ბურთით დავმარცხდით — 18:20. ჩვენდა საბედნიეროდ, მომდევნო ტურში იუგებს რუმინელებმა სძლიეს, ჩვენ კი დასავლეთ გერმანია (18:16) და დანია (24:16) დავჯაბნეთ და ფინალში რუმინელებს დავუპირისპირდით. მთელი მატჩის განმავლობაში წინ ვიყავით. ორთაბრძოლის დამთავრებამდე 15 წუთი იყო დარჩენილი. სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. ჩემთან მთავარი მწვრთნელი ევტუშენკო მოვიდა. „ახლა გადამწყვეტი, ფსიქოლოგიური მომენტია. პირველ გოლს ვინც გაიტანს, ის მოიგებს. გახვალ მოედანზე, ჩვენებს დააწყნარებ და გოლს გაიტან. მე მჯერა შენი“. 22 წლის ბიჭს ასანთებად მეტი რა მინდოდა — თანაგუნდელები გავამხნევე და მორიგი შეტევისას ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთიც გავიტანე. ის მატჩი 19:15 მოვიგეთ და ოლიმპიური ჩემპიონები გავხდით.

— მოსკოვის ოლიმპიადაზე „ოქრო“ რატომ გაუშვით ხელიდან?

— 1980 წელს ბევრად ძლიერი გუნდი გვყავდა, ვიდრე მონრეალში. ჩვენი მარცხი მთავარი მწვრთნელის — ევტუშენკოს ბრალია. ჯგუფში ხუთიდან ოთხი შეხვედრა მოვიგეთ და ფინალში გავედით, სადაც აღმოსავლეთ გერმანიის ნაკრებს დავუპირისპირდით. პირველ ტაიმში 7 თუ 8 ბურთით დავწინაურდით. შესვენებისას გასახდელში ევტუშენკო შემოვიდა პარტაქტივთან ერთად. უაღრესად ნიჭიერმა, მაგრამ ვარსკვლავური მანიით შეპყრობილმა მწვრთნელმა შავი დღე გვაყარა — ჩემი სქემით თუ არ ითამაშებთ, იცოდეთ, ციმბირი უკან დაგრჩებათო. მუქარამ ბიჭებზე ცუდად იმოქმედა. მართალია, მე-2 ტაიმში თავი არ დაგვიზოგავს, მაგრამ საათივით აწყობილ მექანიზმში რაღაც მოიშალა და გადამწყვეტი მატჩი ერთი ბურთის სხვაობით (22:23) დავთმეთ - ვერცხლის მედლებს დავჯერდით...

— დიდი ხანია, გერმანიაში ცხოვრობთ. იქ როგორ აღმოჩნდით?

— დიდ სპორტთან განშორების შემდეგ მოსკოვში შემთხვევით გერმანელ მენეჯერ გერდ ბუცეკს შევხვდი, რომელიც ერთ დროს საკავშირო ნაკრებში მუშაობდა. ორივე მუხლზე მენისკი მაწუხებდა და საოპერაციოდ დახმარება ვთხოვე. რამდენიმე ხნის შემდეგ მართლაც გავემგზავრე გერმანიაში, მაგრამ შევცდი, თან მეუღლე რომ წავიყვანე. არადა, ნაოპერაციევს დამხმარე დამჭირდებოდა. ბავარიაში ჩასულს გერდმა საოპერაციო რიგის მოსვლამდე ჰოლანდიაში გამგზავრება და მის გუნდში თამაში შემომთავაზა. ეტყობა, კარგად გავართვი დავალებას თავი. მასპინძელმა კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზა. მეუღლემ დამასწრო — არა არ უთხრა, თორემ ფანჯრიდან გადავხტებიო. იძულებული გავხდი, მის ნებას დავყოლოდი. დღემდე ოჯახთან ერთად გერმანიაში ვცხოვრობ, ჩემი ბიზნესი მაქვს. ვცდილობ, კონტაქტები გავაღრმავო სხვადასხვა რეგიონთან.

— ბატონო ალექსანდრე, თბილისში გაზრდილ კაცს გერმანიასთან, ევროპულ წესებთან შეგუება არ გაგიჭირდათ?

— არც უმისობა იყო, მაგრამ ეს პრობლემა ბავარიაში უფრო იოლი გადასატანია, რადგან იქაც, ფაქტობრივად, ჩვენსავით ხმაურიანი ხალხი ცხოვრობს. თავიდან, ბუნდესლიგის გუნდს როცა ვავარჯიშებდი, ბიჭებს რესტორანში რომ დავპატიჟებდი, მთელ დანახარჯს მე ვიხდიდი — ქართული ჩვევებით. გერმანელებს უკვირდათ ეს. დროთა განმავლობაში ნაცნობები მივაჩვიე ამგვარ წესს და ახლა ზოგიერთს ჯიბისკენ ხელის წაღებას ვერ დაასწრებ.

— სულ გერმანიაში აპირებთ ცხოვრებას?

— არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ: სიცოცხლის ბოლომდე იქ ვერ დავრჩები. მამაჩემი თბილისშია დასაფლავებული და ჩემი ძვლების ადგილიც მის გვერდით უნდა იყოს.

ვაჟა დანელია

◎ ღვინის დღესასწაული

„მობრძანდით, დააგემოვნეთ, დაგვლოცეთ!..“

ხუთი ქვეყნის (მათ შორის, ცხადია, საქართველოს, ასევე იტალიის, გერმანიის, საფრანგეთისა და უკრაინის) ასამდე ღვინის მწარმოებელი და, მეღვინეობის მანქანა-დანადგარების, აქსესუარების, ბოთლების გადამმუშავებელი ხაზების, შესაფუთი მასალებისა და მინის ტარის, საცობების, ყუთების, კიდევ მრავალი სხვა ნაკეთობის გამომშვები კომპანია, ასევე დისტრიბუტორი მონაწილეობს საგამოფენო ცენტრის „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილონში 3 ივნისს გახსნილ „ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მე-9 საერთაშორისო გამოფენაში — WinExpo Georgia 2016“-ში, რომელიც 5 რიცხვამდე გასტანს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოსა და საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ მხარდაჭერით გამართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების გამოფენა სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ნოდარ კერესელიძემ** გახსნა. გამოფენაზე მოწყობილია მცირე და საოჯახო მარნების, ასევე ქვევრის ღვინის მწარმოებელთა კუთხე. ღვინის გამოფენის მონაწილეებსა და სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ ძველისძველი ქართული ტრადიციებით დაყენებული სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელები, თაფლი, შიდა და სამონასტრო მეურნეობებში დამზადებული სხვა პროდუქცია დააგემოვნონ და შეიძინონ.

გამოფენის ფარგლებში, 4 და 5 ივნისს ტარდება ღვინის მე-8 საერთაშორისო კონკურსი — „8th internacional Wine Award“. კონკურსში წარდგენილ ღვინოებს ენოლოგიის საერთაშორისო ექსპერტები და ღვინის ჟურნალისტები შეაფასებენ, ავტორიტეტულ ჟურის კი ცნობილი ექსპერტი, ბრიტანელი **ტიმ ატკინი** უხელმძღვანელებს. დღესვე სხვადასხვა კატეგორიაში გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართება.

ცალკე აღსანიშნავია ისიც, რომ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მე-9 საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში, „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში მონაწილეებსა და სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ, ბატონ **ლევან მოსიაშვილის** გამოფენა „ღვინის ხელოვნება“ დაათვალიერონ.

ოთარ ტურაბელიძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

რეკლამა
293-37-87;
599 797679

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის დევნილი საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი წევრი

თამაზ კვარაცხელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი“ თანაუგრძნობს ნინო ჯოგლიძეს და გულიკო ჩიხლაძეს დედისა და დის

შუქურა ჩიხლაძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ბეჟანი, შვილები ავთანდილ, ფრიდონ ცარციძეები, ძმისწულები, დისწულები, მაზლიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დარეჯან ცარციძე-აბრამიშვილი

პანაშვიდი 5, 6 VI, ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქუჩა. დაკრძალვა 7 VI, 15 სთ. ქ. საჩხერე, სოფელი ჯალაურთა.

დევნილ ოჯახებს საცხოვრებელი სახლები დაუკანონდებათ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარის, ასევე ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი წევრის რიმა ბერაძის ინიციატივით, ჩუღურეთის რაიონში უკვე დაწყებულია დევნილი მოსახლეობის აღრიცხვა და მათი საცხოვრებელი ფართების აზომვა.

რიმა ბერაძე თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს უფროსთან კარლო ლაფერაძესთან და ჩუღურეთის რაიონის გამგებლის მოადგილესთან ლადო გოგსაძესთან ერთად ცაიშის, რიხისა და მარუაშვილის ქუჩებზე მცხოვრებ დევნილებს შეხვდა, მოსახლეობას საცხოვრებელი სახლების დაკანონებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა, რომ ფართების დაკანონება კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში მოხდება.

ავსტრიელები ტურიზმის სფეროს განვითარებაში გვეხმარებიან

ამ თემაზე საქართველო-ავსტრიის ბიზნეს-ფორუმის ფარგლებში ორი ქვეყნის სავაჭრო პალატები შეთანხმდნენ. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ნინო ჩიქოვანი ავსტრიის სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტს მარტა შულცს შეხვდა. გარდა ამისა, შეხვედრის შედეგად გაირკვა, რომ საქართველო-ავსტრიის კიდევ ერთი ბიზნესფორუმი ვენაში, სექტემბერში გაიმართება.

საქართველო-ავსტრიის ბიზნესფორუმმა ავსტრიულ ბიზნესსექტორში მაღალი ინტერესი გამოიწვია. ღონისძიებაზე 60-მდე ადგილობრივი კომპანია დარეგისტრირდა. დაიგეგმა 80-მდე ორმხრივი შეხვედრა. ღონისძიება საქართველოს პირველი დიპლომატის მიხეილ ჯანელიძის ავსტრიაში ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა. მთავარი თემები აგროსექტორი, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ენერგეტიკა იყო, რომელსაც ღონისძიებაზე ცალკე პანელი დაეთმო. ფორუმის გახსნამდე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით პირველი დიპლომატი და პალატის პრეზიდენტი საქართველოდან ჩასულ ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს გაესაუბრნენ.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

დოლის დროს ერთი ცხენი ეკითხება მეორეს:

— გულწრფელად მითხარი, რამდენი ცხენის ძალა გაქვს?

* * *

რედაქტორი ეკითხება რეპორტიორს:

— ჩამოართვით ინტერვიუ პრეზიდენტს?

— დიახ, ბატონო რედაქტორო, მაგრამ, არსებითად, არაფერი უთქვამს.

— მასალა რამდენგვერდიანი იქნება?

* * *

პატარა მიხო მამამ ლუვრში წაიყვანა, ვენერა მილოსელის ქანდაკებასთან მიიყვანა და ჭკუას არიგებს.

— აი, ხომ ხედამ, ვეჟო, რა მოსდით იმათა, ვინც ფრჩხილებ იკვნეტამს!..

* * *

ბაღში სკამზე კაცი ზის და თავის ძაღლს ბანქოს ეთამაშება. მეზობლად მჯდომი კაცი გაოცებული ეკითხება:

— ნუთუ თქვენი ძაღლი ისეთი ჭკვიანია, რომ ბანქოს თქვენზე უკეთ თამაშობს?

— რა თქმა უნდა არა, ბატონო! მაგრამ, როგორც კი კარგი კარტი მოსდის, კუდის ქიცინს იწყებს, მე უმალ ყველაფერს ვხვდები და წინასწარვე ვიცი, თუ როგორ უნდა ვითამაშო!

* * *

დამწყებ ლიტერატორს თავის დაწერილი სცენარი ცნობილ პროდიუსერთან მიაქვს, რომელიც მას წაიკითხავს და ეუბნება:

— აბა, რა გითხრათ, ბატონო, კი მოგინდომებიათ, მაგრამ თქვენი სცენარი ორიგინალური არ არის, იგი ლამის სიტყვასიტყვით იმეორებს „არ დაიდარდოს“.

— მერედა რაო, პატივცემულო, გინდა თქვა, რომ ვითომ „არ დაიდარდო“ ცუდი ფილმია?!.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.147; ევრო - 2.392;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.138;
100 რუბლი - 3.256; თურქული ლირა - 0.728;
აზერბაიჯანული მანათი - 1.445;
1000 სომხური დრამი - 5.493

ამინდი 4 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +11,	დღე +28
მთიანი რაიონები -	ღამე +6,	დღე +23
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +12,	დღე +26
მთიანი რაიონები -	ღამე +9,	დღე +22
თბილისი:	ღამე +17,	დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE